დოდო ჭუმბურიძე
ხათუნა ქოქრაშვილი
ვაჟა კიკნაძე
ლელა სარალიძე

რუსული ოკუპაციის ისტორია საქართველოში

პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი
დოდო ჭუმბურიძე

საქართველოს უნივერსიტეტის
გ ა მ ო მ ც ე მ ლ ო ბ ა

დოდო ჭუმბურიძე, ხათუნა ქოქრაშვილი, ვაჟა კიკნაძე, ლელა სარალიძე

რუსული ოკუპაციის ისტორია საქართველოში

პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი

დოდო ჭუმბურიძე

რეცენზენტი

ოთარ ჯანელიძე

საგამომცემლო რედაქტორი	ჯულიეტა ანდღულაძე
ტექსტის რედაქტორები	მარინა ჟღენტი, გია კალანდაძე
ყდის დიზაინერი	მაია ფეიქრიშვილი
დიზაინერ–დამკაბადონებელი	მაია ფეიქრიშვილი
დამკაბადონებელი	ზვიად ტყეშელაშვილი

© დოდო ჭუმბურიძე, ხათუნა ქოქრაშვილი, ვაჟა კიკნაძე, ლელა სარალიძე, 2026.
© საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2026.

მისამართი: მ. კოსტავას ქ. 77ა, თბილისი, 0171, საქართველო
ტელეფონი: +995 032 2 55 22 22
ელ. ფოსტა: info@ug.edu.ge; ug@ug.edu.ge
საქართველო | თბილისი
დაიბეჭდა საქართველოში
შპს "საქართველოს უნივერსიტეტი"

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია წინამდებარე გამოცემის რომელიმე ნაწილის გამოქვეყნება, თარგმნა, ხელახალი პუბლიკაცია ან გადაცემა, ნებისმიერი ფორმით თუ საშუალებით, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

ISBN 978-9941-9897-8-0

სარჩევი

წიგნის სტრუქტურის შესახებ 6
რედაქტორის წინათქმა 7
გამონათქვამები რუსეთის შესახებ 9

I თავი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში 11
პირველი კავშირები, „წიგნი ფიცისა"; • ურთიერთობები XVII საუკუნეში; • ვახტანგ VI-ის, თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის პოლიტიკური მიზნები და რუსეთი; • რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკა, „ბერძნული პროექტი" და გეორგიევსკის ტრაქტატი; • პოლიტიკური მოვლენები ასპინძიდან კრწანისამდე; • რუსული ოკუპაციის ასპექტები მფარველობის ხელშეკრულებებში.

II თავი. რუსული ოკუპაციის პირველი ეტაპი საქართველოში 40
როგორ დაიწყო XIX საუკუნე საქართველოსთვის; • გიორგი XII-ის „სათხოვარი პუნქტების" შინაარსი და მისი რატიფიცირების საკითხი; • რუსეთის მიერ დიპლომატიური დოკუმენტების შედგენა-გაყალბების ისტორიები; • პავლე I-ისა და ალექსანდრე I-ის მანიფესტები: მათი მსგავსება-განსხვავება და პოლიტიკური შედეგები; • აღმოსავლეთ საქართველოს ოკუპაციის დასრულება; • დასავლეთ საქართველოს ოკუპაცია რუსეთის მიერ; • ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფო ოჯახის წევრთა გადასახლება რუსეთში; • რა განსხვავებული პოლიტიკით მოახდინა რუსეთმა ქართული სამეფოებისა და სამთავროების ოკუპაცია.

III თავი. რუსეთის მმართველობის სისტემა საქართველოში (1801-1917) 82
ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის ლეგიტიმური მემკვიდრის უფლებების შეზღუდვა; • რუსული სამხედრო-საოკუპაციო რეჟიმი აღმოსავლეთ საქართველოში (1801-1841); • რუსული მმართველობა იმერეთის სამეფოსა და დასავლეთ საქართველოს სამთავროებში; • რუსული მმართველობის რეფორმა XIX ს-ის 20-40-იან წლებში, სამოქალაქო მმართველობის შემოღება; • რუსულ კანონებზე დამყარებული სამოქალაქო მმართველობის შედეგები; • კავკასიის სამეფისნაცვლოს დაარსება და მეფისნაცვალთა კავკასიური პოლიტიკა; • რეფორმები და კონტრრეფორმები საქართველოს რუსულ მმართველობაში; • რუსეთის იმპერიის ადმინისტრაციული პოლიტიკა შიდა ქართლის მთიანეთში, აფხაზეთსა და საინგილოში.

IV თავი. ქართველი ხალხის ბრძოლა რუსული ოკუპაციისა და ანექსიის წინააღმდეგ XIX საუკუნეში 124
1802 წლის ქელმენჩურის საპროტესტო გამოსვლა; • 1804 წლის ქართლის მთიანეთის აჯანყება; • 1809-1810 წლების განმათავისუფლებელი ბრძოლა იმერეთის სამეფოში; • 1812-1813 წლების კახეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა; • 1819-1820 წლების აჯანყება დასავლეთ საქართველოში; • 1832 წლის შეთქმულება; • 1841 წლის გურიისა და 1856-1857 წლების სამეგრელოს გლეხთა აჯანყებები; • ანტირუსული აჯანყებები აფხაზეთსა და სვანეთში XIX საუკუნის 60-70-იან წლებში; • „ნებაყოფლობით" შეერთებული საქართველოს საუკუნოვანი ომის შედეგები რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ.

V თავი. საქართველო რუსეთის აღმოსავლურ და კავკასიურ ომებში. 168
რუსეთის აღმოსავლური ომები კავკასიაში გაბატონებისათვის და ამ ომებში ჩართული ქართველი ხალხის მთავარი მოტივაცია; • როგორ მიაწერდა რუსული ისტორიოგრაფია აღმოსავლურ ომებში მიღწეულ ყველა წარმატებას რუს მეომრებს და რატომ მალავდა ქართველების როლს; • რუსეთ-სპარსეთისა და რუსეთ-ოსმალეთის ომების ქრონოლოგია და მთავარი მიზნები; • როგორ აიღო ახალციხე რუსულმა არმიამ და რა წვლილი შეიტანეს ამ ბრძოლაში ქართველმა გენერლებმა; • აღმოსავლური ომების შედეგად მიღებული დემოგრაფიული ცვლილებები და იმპერიის მიზანმიმართული ანტიქართული პოლიტიკა ახლადშემოერთებულ რეგიონებში; • რა დამსახურება მიუძღვით ქართველ მეომრებსა და მოსახლეობას ყირიმის ომში; • აჭარის დაბრუნება და აღმოსავლური ომების მთავარი მსხვერპლი – ქართველი და აფხაზი მუსლიმების გადაქცევა მუჰაჯირებად.

VI თავი. რუსეთის მიერ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება და მისი შედეგები. ბრძოლა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღსადგენად 220
რით განსხვავდებოდა ეკლესიის წეს-განგება და მართვა საქართველოსა და რუსეთში; • საქართველოს ეკლესიის სტატუსი 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატში; • რუსეთის ხელისუფლების მიერ მცხეთისა და აფხაზეთის საკათოლიკოსოების გაუქმება; • რატომ იყო არაკანონიკური და არასამართლებრივი აქტი საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიისთვის ავტოკეფალიის გაუქმება; • საეკლესიო-ადმინისტრაციული ცვლილებები რუსეთის მიერ დაპყრობილ საქართველოში; • საქართველოს ეკლესიის კუთვნილი კულტურული მემკვიდრეობის გატანა, გასხვისება და ძარცვა რუსი ეგზარქოსებისა და მმართველების მიერ; • ქართველი ხალხის ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის, ხელისუფლების რეპრესიული პოლიტიკა ავტოკეფალისტთა წინააღმდეგ; •საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და საკათოლიკოსო ტახტის აღდგენა.

VII თავი. რუსეთის ეკონომიკური, ეთნიკური და დემოგრაფიული პოლიტიკა საქართველოში 1801-1917 წლებში. 257
რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ეკონომიკური ექსპანსიის მთავარი ასპექტები; • როგორი იყო საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის სხვა რეგიონთა ბაზრები რუსეთის იმპერიის კავკასიაში შემოსვლის დროს; • რუსეთის იმპერიის საბაზრო პოლიტიკა საქართველოში: „შეღავათიანი ტარიფის“ დაწესება უცხოურ საქონელზე და ამ პოლიტიკის შედეგები; • საქართველოს კოლონიურ-ეკონომიკური ექსპანსიისათვის შექმნილი რუსული პროექტები; • ახალი ფორმების დანერგვა წარმოებასა და საბაზრო ურთიერთობებში XIX საუკუნის მეორე ნახევარში: ახალი დარგების გაჩენა, არატრადიციული კულტურების შემოტანა და დამოკიდებულება ტრადიციული სამეურნეო გამოცდილების მიმართ; • ქართველი მრეწველების როლი რუსული კოლონიურ-ეკონომიკური პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში; • რუსეთის იმპერიის ეთნიკური და დემოგრაფიული პოლიტიკა საქართველოში: სეპარატისტული ტენდენციების ახალი ძალით ინსპირაცია • რუსული კოლონიზაციის ახალი მასშტაბები: ჩამოსახლებულთა დასახლებების რიცხვის ზრდა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესთა შელახვა.

VIII თავი. რუსეთის იმპერიის კულტურული ექსპანსია საქართველოში (1801-1917წწ.) 310
ქართული კულტურა და საზოგადოება რუსეთის იმპერიული პოლიტიკის კონტექსტში: რას ითვალისწინებდა რუსეთის კულტურული ექსპანსია დაპყრობილ საქართველოში; • განათლება რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოში: გარუსებული ქართული სკოლა – რუსეთის ასიმილატორული პოლიტიკის მთავარი იარაღი, სკოლების რაოდენობა, ტიპები, სასწავლო დებულებები და პროგრამები; • ქართული მწერლობა და სამეცნიერო აზრის განვითარება XIX საუკუნეში; • ქართული თეატრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რიგებში; • ახალი ქართული ლიბერალურ-დემოკრატიული პრესა და რუსეთის კოლონიური ხელისუფლება; • კავკასიის საცენზურო კომიტეტის, რუსეთის იმპერიული სახელმწიფოს ერთ-ერთი სადამსჯელო ინსტიტუტის საქმიანობა ქართველი ხალხის თავისუფალი აზრის წინააღმდეგ; • იმპერიის ხანის ქართული საზოგადოება: პოლარიზაცია, ნიჰილიზმი, კონფორმიზმი, კოლაბორაციონიზმი და მისი შედეგები; • თერგდალეულთა ნაციონალური პროექტის მთავარი ასპექტები.

IX თავი. ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის XX საუკუნის დასაწყისში. 358
როგორ დაიწყო XX საუკუნე საქართველოსთვის: 1901 წელი: ქართველი თავადაზნაურობის ინიციატივით გამართული „რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობითი შეერთების“ 100 წლის იუბილე; • თვითმმართველობისა და ავტონომიის საკითხი რუსეთის საიმპერიო ხელისუფლებისადმი ნდობადაკარგულ ქართულ საზოგადოებაში; • 1905-1907 წლების რევოლუცია და რუსული რეპრესიები საქართველოში; • ქართველი დეპუტატები რუსეთის სახელმწიფო საბჭოსა და დუმაში ქართველი ხალხის უფლებების დაცვის, რუსული შოვინიზმისა და მცირე ერების ჩაგვრის იმპერიული პოლიტიკის წინააღმდეგ; • პირველი მსოფლიო ომი და საქართველო; • საქართველოს პოლიტიკური პარტიები ცარისტული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის სხვადასხვა სტრატეგიით: პრორუსული და პროევროპული ორიენტაციის მქონე პარტიების პოლიტიკური არგუმენტები; • რუსეთის იმპერიული მონარქიის დაცემა და ქართველი ხალხის ბრძოლის გააქტიურება საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის; • საქართველო ამიერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფოს შემადგენლობაში; • საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა: ევროპული ტიპის თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს მთავარი საგარეო და საშინაო ვექტორები; • საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ, ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში; • ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ სხვადასხვა რუსული პოლიტიკური ძალის ბრძოლა: რუსეთის ახალი ინტერვენცია, ქვეყნის ანექსია-ოკუპაცია და ძალადობრივი ბოლშევიზაცია.

X თავი. საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, ტოტალიტარიზმი და ტერორის მასშტაბები, კრემლის გეოპოლიტიკური პროექტები ქართველი ხალხის ეროვნული იდენტობისა და სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ 452

საბჭოთა საოკუპაციო რეჟიმის პირველი წლები საქართველოში, რუსულ ანკესს წამოგებული ქართველი ბოლშევიკების უკმაყოფილება და ხელისუფლების რეაქცია „ნაციონალ-უკლონიზმად" შეფასებული მათი ქმედებისადმი; • სტალინური პროექტი საბჭოთა კავშირში რესპუბლიკების გაერთიანების შესახებ; • ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა და მისი შესვლა სსრკ-ს შემადგენლობაში; • საბჭოთა იმპერიის ბრძოლა საქართველოს ავტონომიებად დაშლისათვის; • ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ 1921-1924 წლებში; • საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში და ბრძოლა რუსული საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ XX საუკუნის 20-იან წლებში; • საბჭოთა ხელისუფლების ბრძოლა საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ; • იდეოლოგიური დიქტატურა საბჭოთა საქართველოში და რეპრესიებისთვის საფუძვლების მომზადება: ხელისუფლების მიერ განხორციელებული „დიდი ტერორი"; • კონფორმიზმი და იდეოლოგიური კონიუნქტურა სტალინური ეპოქის ქართულ მწერლობასა და სამეცნიერო კვლევებში; კულტურული რევოლუცია და „ჰომო სოვეტიკუსის" ტიპის ჩამოყალიბება; • მეორე მსოფლიო ომი და მისი შედეგები საქართველოსთვის; • ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XX საუკუნის 40-70-იან წლებში.

XI თავი. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა XX ს-ის 90-იან წლებში და რუსეთი 550

ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა XX ს-ის 80-იან წლებში; 1989 წლის 9 აპრილი; • მრავალპარტიული არჩევნები და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა; • რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღიარება: ბორის ელცინისა და ზვიად გამსახურდიას შეხვედრა ყაზბეგში და ორ ქვეყანას შორის დადებული ხელშეკრულება; • XX ს-ის 90-იან წლებში რუსეთის ხელისუფლების მიერ ინსპირირებული ეთნოკონფლიქტები საქართველოში: ვითარების დაძაბვა ცხინვალის რეგიონში; • სამხედრო პუტჩი და დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების ძალადობრივი დამხობა. პუტჩისტების უკან მდგარი რუსი პოლიტიკოსები და სამხედროები; • 1992 წლის პოლიტიკური მოვლენები და რუსეთის ინსპირირებული ომი აფხაზეთში; • საქართველოს გაწევრიანება დსთ-ში, ტერიტორიებდაკარგული დამოუკიდებელი ქვეყნის აღმოჩენა კორუფციისა და უსამართლობის ჭაობში.

XII თავი. პუტინის რუსეთი საქართველოს დემოკრატიული განვითარებისა და ევროპული ინტეგრაციის წინააღმდეგ: 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი; საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ექსპერტების შეფასებები 599

„ვარდების რევოლუცია" და პოსტკომუნისტური ეპოქის დასასრული; • საქართველოს ევროპული არჩევანი – 2008 წლის აგვისტოს ომის მთავარი მიზეზი; • საერთაშორისო ვითარება 2008 წლის აგვისტოს ომის წინ; კოსოვოს საკითხი და რუსეთის ხელისუფლების აგრესიული რეაქცია; • 2008 წლის ომის წინა პერიოდის ქრონოლოგია; საბრძოლო მოქმედებების დინამიკა და ქართული ჯარის მოქმედება რუსეთის ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიისაგან თავდასაცავად; • შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე; რუსეთის მიერ სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება; • საერთაშორისო ორგანიზაციები და რუსეთ-საქართველოს ომი: რუსეთის პროპაგანდისტული მანქანა საერთაშორისო ორგანიზაციების წინააღმდეგ; • საქართველო-რუსეთის ურთიერთობა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, უკანონო ბორდერიზაცია, განგრძობითი ოკუპაცია და ამ პროცესში დაღუპული საქართველოს მოქალაქეები; • 2008 წლის აგვისტოს ომის შეფასება რუსეთ-უკრაინის მიმდინარე ომის კონტექსტში; • ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და ჰაგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ბოლო გადაწყვეტილებები 2008 წლის აგვისტოს ომთან დაკავშირებით; • საქართველოს დეოკუპაციისა და დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხი.

ინტერვიუები პოლიტიკურ ექსპერტებთან და სამოქალაქო აქტივისტებთან საქართველოში რუსული ოკუპაციის შესახებ . . 647

რუსული მმართველობა საქართველოში 679

ინფორმაცია საერთაშორისო ორგანიზაციებზე 682

საქართველოს ეროვნული გმირები 685

სახელმწიფო მმართველობის ფორმები 686

ტერმინთა და სახელმძღვანელოში არსებულ გეოგრაფიულ დასახელებათა განმარტებანი 694

საქართველო–რუსეთის ურთიერთობისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ქართველი ხალხის ბრძოლის ქრონოლოგია 704

ინფორმაცია წიგნისა და მისი ავტორების შესახებ 716

THE HISTORY OF RUSSIAN OCCUPATION IN GEORGIA. Summary 717

წიგნის სტრუქტურის შესახებ

სტუდენტთა სახელმძღვანელოდ გამიზნული წიგნი 12 თავისგან შედგება, რაც ბაკალავრიატის სალექციო კურსის ოდენობამ და საგნის სილაბუსმა განაპირობა. ეს არ არის კონსპექტური წიგნი, ამიტომ უფრო მეტად არ შევზღუდეთ მისი ფორმატი. ჩვენ ვითვალისწინებთ ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენტების, მათ შორის მომავალი ისტორიკოსების ინტერესს შესასწავლი თემების არა მარტო თეორიული მასალისა და მოვლენების კონცეპტუალურ შეფასებათა მიმართ, არამედ იმ წყაროების, ინფორმაციების, ტერმინებისა და სხვა თვალსაჩინო მასალის წვდომის თვალსაზრისითაც, რაც მათ მეტ ცოდნას მისცემს და პროფესიულ უნარებს გამოუმუშავებს. საკმაოდ ვრცელი წყაროების ტექსტში შეტანა, ვფიქრობთ, გამართლებულია იმით, რომ ამ წყაროებიდან მიღებული ინფორმაციები ზოგჯერ გაცილებით მეტს ამბობენ წარსულის მოვლენებზე, ვიდრე თეორიული მსჯელობები.

წიგნის ავტორები გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ ყველას, ვინც წიგნის წერისას სხვადასხვა ფორმით დაგვეხმარა:

მადლობა საქართველოს უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, ისტორიკოს მანანა სანაძეს, მუდმივად მხარდაჭერისა და სასარგებლო რჩევების მოცემისათვის, რომლის ინიციატივით გაჩნდა პროექტის იდეა და დაიგეგმა წიგნის გამოცემა;

ქართველოლოგიის ინსტიტუტის ყველა თანამშრომელს: ისტორიკოსებს, ხელოვნებათმცოდნეებს, ფილოლოგებს, რომლებიც მუდმივად გვიცხადებდნენ თანადგომას და გვაწვდიდნენ საჭირო ინფორმაციას;

წიგნის რეცენზენტს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ოთარ ჯანელიძეს მოცემული რეკომენდაციებისათვის, რამაც ხელი შეუწყო წიგნის შინაარსობრივი და კონცეპტუალური აქცენტების კიდევ უფრო გამოკვეთას;

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს გიორგი ჭეიშვილს საჭირო რუკების მოწოდებისათვის;

საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის კარტოგრაფია-გეოდეზიის დეპარტამენტის თანამშრომლებს, დეპარტამენტის უფროსს, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორს, პოლკოვნიკ ნოდარ ხორბალაძეს, დეპარტამენტში შედგენილი რამდენიმე რუკის მოწოდებისთვის;

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ჯემალ გამახარიას, აფხაზეთის თემაზე წიგნისთვის მოცემული ინტერვიუსათვის;

სამოქალაქო მოძრაობის ხელმძღვანელს, არასამთავრობო ორგანიზაციის – „ძალა ერთობაშია“ დამფუძნებელს – დავით ქაცარავას – შიდა ქართლში რუსეთის მიერ განხორციელებული განგრძობითი ოკუპაციის შესახებ ჩატარებული საუბრებისათვის, რომელიც წიგნში შევიდა, როგორც დოკუმენტური მასალა;

საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორს, პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტს – გია ჯაფარიძეს რუსეთ-საქართველოს თანამედროვე ურთიერთობებზე მოცემული ინტერვიუსთვის;

ექსპერტ შოთა მალაშხიას, საქართველოს VI მოწვევის პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის ყოფილ თავმჯდომარეს, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომზე ინტერვიუს მოცემისათვის;

ისტორიკოს გია გელაშვილს საქართველოს შესახებ გერმანელ მოგზაურთა ნაშრომთა ამონარიდების თარგმანთა მოწოდებისთვის;

საქართველოს უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებს: ვანო სალუქვაძეს, ლუკა ევგენიძეს, შაკო დარბაიძეს მათ მიერ ჩაწერილი და მოწოდებული ინტერვიუებისათვის.

რედაქტორის წინათქმა

სტუდენტებისთვის განკუთვნილი ეს სახელმძღვანელო საქართველო-რუსეთის რამდენიმესაუკუნოვან ურთიერთობას შეეხება. მისი დაწერის საჭიროება საქართველო-რუსეთის ისტორიულ, თანამედროვე თუ სამომავლო ურთიერთობის ფორმებზე ჩვენს საზოგადოებაში არსებულმა დიდმა ინტერესმაც განაპირობა. კარგი იქნება, თუ გვექნება სწორი თვალსაზრისი ჩვენი დიდი მეზობლის ისტორიულ როლსა და მიზნებზე საქართველოსთან მიმართებაში, ეს უთუოდ დაგვეხმარება რუსეთთან კეთილმეზობლური, პრაგმატული და სახელმწიფოებრივად მისაღები პოლიტიკის შემუშავებაში.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შეფასებები სხვადასხვა დროს იცვლებოდა: იმპერიის ხანაში ის „ნებაყოფლობითი შეერთების", სტალინურ პერიოდში „მცირე ბოროტების" თეორიით, პოსტკომუნისტურ ეპოქაში კი დიდი ქვეყნის მიერ პატარა ქვეყნის დაპყრობად შეფასდა. თუმცა, აქვე უნდა ვთქვათ ისიც, რომ ამ თვალსაზრისმა ხელი ვერ შეუშალა რუსეთის ახალ დაპყრობით ამბიციებს, მის მიერ საქართველოში მცხოვრებ არაქართველებში სეპარატისტული მისწრაფებების ინსპირაციებს, რუსეთის მიერ ისტორიულად ქართული რეგიონების „დამოუკიდებელ სახელმწიფოებად" აღიარების ფაქტს. სამწუხაროდ, საქართველოს მმართველ პოლიტიკურ ელიტებს, უმეტესად, „დიდი ძმის" მორჩილებისა და უმოქმედობის რეჟიმში ყოფნა, მისი „არგაღიზიანების" პოლიტიკა აქვთ არჩეული. ამ ვითარებაში დარღვეულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, დასუსტებულია ქართული სახელმწიფოებრიობა, ეროვნული იდეის გარშემო კონსოლიდაცია თითქმის შეუძლებელია. ამგვარი რეალობა მოითხოვს ნამდვილი ისტორიული პროცესების ცოდნას, მომხდარი მოვლენების სწორ ინტერპრეტაციას და ახალგაზრდა თაობის მომზადებას საკუთარი ქვეყნის ცხოვრებაში სრულყოფილი პოლიტიკური და სამართლებრივი მოღვაწეობისათვის.

წიგნი საისტორიო წყაროებისა და დოკუმენტური მასალების მიხედვითაა დაწერილი, რომელთა ნაწილი თავად რუსმა ისტორიკოსებმა და მოხელეებმა შეადგინეს. მათაც კი ვერ შეძლეს იმ უკანონობათა დაფარვა, რომელიც დამპყრობელმა ქართველი ხალხის წინააღმდეგ ჩაიდინა. ამასთანავე, გამოვიყენეთ ჩვენი ღირსეული მეცნიერების, ქართველ ისტორიკოსთა ნაწერები, სადაც მოვლენები ობიექტურადაა შეფასებული, დაძლეულია იდეოლოგიური კონფორმიზმი და მთელი ისტორიული პროცესი შეულამაზებლად არის ნაჩვენები. ამ კუთხით დანახული ისტორიის შესწავლა დაეხმარება ახალგაზრდა თაობას უკეთ ჩასწვდეს დღევანდელი პრობლემების გამომწვევ მიზეზებს, შეიცნოს საკუთარი თავი და როლი საქართველოს მომავლის შენებაში.

წიგნში ნახავთ, როგორ ცდილობდა და ცდილობს მრავალჯერ ფერნაცვალი, მაგრამ იმპერიულ მიზნებს შეულეველი რუსეთი, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, პატარა ერების ბედზე მზრუნველის სახელით, ამტკიცოს ქართველებისა და სხვა კავკასიელი ხალხების დაპყრობა-ოკუპაციის სამართლიანობა. საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შესწავლა დაგარწმუნებთ, რომ არ არსებობენ კეთილი დამპყრობლები, რომ ყველაზე ფასეული ადამიანისათვის არის თავისუფლება და დამოუკიდებელი ქვეყნის მოქალაქეობა. სწორედ ამისთვის ჩვენი წინაპრები საუკუნეების მანძილზე ღვრიდნენ სისხლს, სწირავდნენ თავს და მომავალ თაობებს უტოვებდნენ სამშობლოსთვის თავდადების იდეას, მისთვის თავგანწირვის მაგალითს, იცავდნენ მამულს, ენას, სარწმუნოებას, საკუთარ ეთნოკულტურულ და ისტორიულ ტრადიციებს. გაქრნენ უზარმაზარი იმპერიები, აღარ არიან მსოფლიოს უდიდესი ქვეყნები, საქართველო კი გადარჩა. ეს ჩვენი წინაპრების თავგანწირვის შედეგია. მომავალი თაობების დამსახურება კი ის იქნება, თუ დღემდე დიდი ბრძოლით და გარჯით მოტანილ ამ სიმდიდრეს მოუვლიან, მტრებს ხელახლა აღარ მისცემენ მისი ხელში ჩაგდების შესაძლებლობას.

XV საუკუნიდან მოყოლებული, ქართველი მეფეები აღმოსავლეთის დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირეს ეძებდნენ. ბიზანტიის დაცემის შემდეგ ევროპასთან გაწყვეტილი კავშირის აღდგენა და დასავლური ფასეულობებისადმი მისწრაფება მათ ქრისტიანულ რუსეთთან დაახლოებისკენ უბიძგებდა. რუსეთი საქართველოსთვის ევროპასთან დამაკავშირებელი გზა იყო და მას მხოლოდ მაშინ მიმართავდნენ, როდესაც ევროპის ქვეყნებთან პირდაპირ ურთიერთობას ვერ ამყარებდნენ.

რუსეთის ინტერესებში ყოველთვის შედიოდა კავკასიაში გაბატონება. იმპერიად ჩამოყალიბების დროიდან ეს სურვილი განსაკუთრებით გაძლიერდა, რადგან საზღვრებს იმპერიული სახელმწიფო მიმდებარე ტერიტორიების ანექსია-ოკუპაციით იფართოებდა. იმპერიული რუსეთი მფარველობას ჰპირდებოდა საქართველოს, სინამდვილეში კი მის დაპყრობას გეგმავდა. ეს შეფარული აგრესია ქართული სახელმწიფოებრიობისთვის საბედისწერო გამოდგა.

რუსი პოლიტიკოსები და მეცნიერები დღემდე ამტკიცებენ, რომ რუსეთს ჩვენი ქვეყანა კი არ დაუპყრია, ქართველ მეფეთა დაჟინებული თხოვნით შეიერთა. წიგნი გაჩვენებთ, რომ სინამდვილეში, არცერთ ქართველ მეფეს არ უფიქრია დაეთმო ტახტი და თავისი კანონიერი უფლებები მთლიანად გადაეცა რუსეთის მეფეებისათვის. მათ მეზობელი ერთმორწმუნე ქვეყნისგან მხოლოდ მფარველობა და სამხედრო დახმარების მიღება სურდათ. ამ მიზანს ისახავდა 1783 წელს დადებული გეორგიევსკის ტრაქტატი, რომელიც 1801 წელს რუსეთმა უხეშად დაარღვია, თვითნებურად მოახდინა საქართველოს ნაწილ-ნაწილ ოკუპაცია-ანექსია და დიდი ისტორიული წარსულისა და კულტურის ქვეყანა მსოფლიოს პოლიტიკური რუკიდან წაშალა.

რუსული სახელმწიფო დაპყრობილ ტერიტორიებს იმპერიის ბუნებრივ ნაწილად განიხილავდა და, ამიტომ, ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაცია-გარუსებას ყველანაირი გზით ცდილობდა. სიტყვა „საქართველოს“ ხსენებაც კი აკრძალული იყო. კავკასიაში ყველაზე უვიც, მექრთამე მოხელეებს გზავნიდნენ. ასეთ ადამიანებს არ შეეძლოთ ეგრძნოთ და დაეფასებინათ უძველესი და მდიდარი ქართული კულტურული ტრადიციები, ისინი დაუფარავად დასცინოდნენ ჩვენი ქვეყნის წარსულს, რუსეთს თვლიდნენ „განმანათლებელ“, საქართველოში კულტურის შემომტან ქვეყნად, დაუნდობლად ექცეოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას.

რუსული ორასწლოვანი ოკუპაციის შედეგად მიღებული ტრავმა დიდია: ძალადობრივად გაუქმებული ქართული სამეფო-სამთავროები, პოლიტიკური ელიტის ფიზიკური განადგურება და საქართველოს სამეფო დინასტიების წარმომადგენელთა რუსეთში ძალდატანებით გადასახლება, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, ეკლესიის კუთვნილი ეროვნული საგანძურის გაძარცვა-განადგურება და მისი რუსეთში გატანა, რუსიფიკაციის მიზანმიმართული პოლიტიკა, ქართულ ენაზე სწავლა-განათლებისა და ღვთისმსახურების ფაქტობრივად აკრძალვა, დემოგრაფიული და ეკონომიკური ექსპანსია, საბჭოთა არმიის მიერ სუვერენული საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს დაპყრობა (1921 წ.), საბჭოთა ხელისუფლების მიერ ათიათასობით რეპრესირებული ადამიანი, საქართველოს სამხედრო, ინტელექტუალური და პოლიტიკური ელიტის განადგურება, აფხაზური და ოსური სეპარატიზმის მიზანმიმართული გაღვივება, სუვერენულ სახელმწიფოში მცირე ერების დაცვის საბაბით შეჭრა და ქვეყნის ტერიტორიების 1/5 ნაწილის ოკუპაცია, საქართველოს ავტონომიური ერთეულების – აფხაზეთისა და ე.წ. «სამხრეთ ოსეთის» დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება და ა.შ.

ისტორიული მოვლენების შეფასებისას მთავარი კრიტერიუმი ჩვენთვის ქართული სახელმწიფოებრიობა და მისი ინტერესებია. რუსეთი, რომელმაც რამდენჯერმე მოახდინა საქართველოს სრული ან ნაწილობრივი ოკუპაცია-ანექსია (1801-1810, 1921, 1992-1993, 2008) და რომელიც დღესაც იმპერიულ დამოკიდებულებას ავლენს ჩვენი ქვეყნისადმი, ჩვენს ისტორიაში დამპყრობელ ქვეყნად, ქართული სახელმწიფოებრიობის სახიფათო მოწინააღმდეგედ ფასდება.

დარწმუნებული ვართ, საქართველო გამთლიანდება და რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებს დაიბრუნებს ისევე, როგორც დავიბრუნეთ ჩვენი ისტორია, რომელიც საბჭოთა რეჟიმის მიერ ათეული წლების მანძილზე შეგნებულად იყო გაყალბებული.

წარსულის ცოდნა, მოვლენების სწორი შეფასება აუცილებელია იმისთვის, რომ ყოველივე ეს აღარ განმეორდეს, საზოგადოება გაერთიანდეს და მეტი სიფრთხილე გამოიჩინოს, მომავალ თაობაში განმტკიცდეს ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცნობიერება.

საქართველო მუდამ იბრძოდა და იბრძვის მსოფლიო თანამეგობრობაში ღირსეული ადგილის დასაკავებლად. წიგნში ნახავთ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოს ძლიერი ქვეყნების თანადგომას სამართლიანობისა და საკუთარი თავის გადასარჩენად მებრძოლი ქვეყნისათვის, რომ საქართველოსნაირ პატარა, მაგრამ მდიდარი წარსულის მქონე სახელმწიფოს ყოველთვის დასჭირდება ამგვარი მხარდაჭერა. ვიმედოვნებთ, რომ წიგნში წარმოდგენილი მასალები ახალგაზრდებს დაეხმარება საკუთარი მოსაზრებების გამომუშავებასა და პოზიციის გამოკვეთაში, ეროვნულ-პატრიოტული და ჰუმანური გრძნობების გაძლიერებაში, ღირსეულ პიროვნებებად და მამულიშვილებად ჩამოყალიბებაში.

დოდო ჭუმბურიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი

გამონათქვამები რუსეთის შესახებ

ზურაბ ავალიშვილი, „საქართველოს შეერთება რუსეთთან“, სანქტ-პეტერბურგი, 1906: „რუსეთის მართლმადიდებლები აქამდე აღნიშნავენ თემურ-ლენგისაგან გადარჩენას, როგორც დიდ დღესასწაულს. ეს გადარჩენა ქართველი ხალხის სისხლითაც იყო მოპოვებული. მაშინ, როდესაც ქართველებს სულ თავის გადარჩენაზე, სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებაზე ფიქრი უწევდათ, რუსეთში საოცარი კომფორტული მდგომარეობა იყო ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობისათვის, დიდ იმპერიად ჩამოყალიბებისათვის. მითუმეტეს, ამ დროს დაიწყო დიდი ევროპული იმპერიების ერა, სადაც რუსეთს ერთ-ერთი რჩეული ადგილი ეჭირა. ქართველ მეფეთა ბავშვური გულუბრყვილობა, რწმენა რუსეთისადმი, შთაგონებული იყო მოსკოვის, როგორც III რომის ფაქტორით, „მართლმადიდებლური ძმობით“.

მერაბ მამარდაშვილი, ნაწყვეტი დოკუმენტური ფილმისათვის „გზა შინისაკენ“ ჩაწერილი ინტერვიუდან, 1990 წლის 16აგვისტო: ჩვენთვის ის ველი, რომელშიც ვიცხოვრეთ, არატრადიციული და უცხოა. ეს ველი არის რუსული ხელისუფლების ველი, რომელიც შეიქმნა დაახლოებით XVII საუკუნეში და დაგვირგვინდა საბჭოთა ხელისუფლების დროს. მთავარი იდეა ამ ველისა ის არის, რომ ყველაზე მაღლა დგას ხელისუფლება და ადამიანი სხვა არაფერია, თუ არა მსახური სახელმწიფოსი და სახელმწიფოებრივი იდეისა. ეს ყველაფერი აყალიბებს ყოველდღიურ ცხოვრებას, ცნობიერებას, სულიერ წყობას და ასე შემდეგ.

სანამ საქართველო შეუერთდებოდა რუსეთს, ანუ მოხდებოდა საქართველოს ანექსია, ისტორიულ საქართველოში ეს სტრუქტურაცია არ არსებობდა. რუსეთის იმპერიის მთავარი ელემენტი არის მოჩვენებითობა თვითონ ამ ხელისუფლებისა. მეტწილად მისი ფსიქიკური ძალა მდგომარეობდა იმაში, რომ ადამიანებს, მოქცეულთ ამ სტრუქტურაში, არ გააჩნდათ რეალობის შეგნება და გონიერი ორიენტაცია. თითქოს უბრალო გლეხიც კი ჩავარდნილი იყო რაღაც მისტიკაში, რაღაც არარეალურ, ლანდებით მოსილ ცნობიერებაში. ეს ფიქციები, რომელიც შეადგენს ე.წ. რუსულ სულს, კარგად დახატა გოგოლმა.

ჩვენ ახლა უნდა გადავიდეთ სხვა ძალების ველში. სხვანაირი ძალები არის ევროპული სტრუქტურაცია მოქალაქეობრივი ცხოვრებისა და სამოქალაქო ცნობიერებისა. სამი ველი არსებობს: აზიატური, რუსული და ევროპული. შემთხვევითი კი არ არის, რომ ჩვენი მეფეები ყოველთვის ცდებოდნენ რუსეთთან ურთიერთობას. სპარსელები და თურქები ვერ ატყუებდნენ, რუსები ატყუებდნენ, იმიტომ, რომ ქართველებისათვის სრულიად უცნობი იყო ეს იმპერია. ის არ იყო ისეთი დესპოტი, როგორიც იყო სპარსეთი. ტყუილი რუსეთის იმპერიის ელემენტი იყო და ეს ტრადიცია გაგრძელდა საბჭოთა ხელისუფლების დროს. ეს ჩვენთვის არაისტორიული და არატრადიციულია. ამიტომ უნდა მოვიშოროთ და უნდა დავუბრუნდეთ ტრადიციულს.

ჩვენი ისტორია და ტრადიცია არის ქრისტიანული.

ევროპა, ამ გაგებით, შედეგიანი ქრისტიანული ექსპერიმენტია. ევროპული კულტურა არის გამარჯვება ქრისტიანობისა, იმ გაგებით კი არა, რომ ხალხი ეკლესიაში დადის. ქრისტიანული სულის კრისტალიზაცია სულ სხვანაირად ხდება ევროპულ ინსტიტუციებში, სადაც შეიძლება არც იხსენიებოდეს ღმერთის სახელი, მაგრამ იგი რეალიზებულია ურთიერთობებში, ნორმებში. ადამიანებმა ამ ექსპერიმენტის ფარგლებში ააწყვეს ნორმალური ცხოვრება. ჩვენ მოვწყდით ამას, რადგანაც დაგვაწვა აზიური ექსპანსიები და მერე რუსულ ველში შევედით, რომელიც სხვანაირად არის დასტრუქტურებული. მე ვიტყოდი, რომ რუსეთში ქრისტიანულმა განათლებამ მარცხი განიცადა. ჩვენ ახლა ან აღვადგენთ ამ ევროპულ აზროვნებას, ან დავიღუპებით“.

გიორგი ფედოტოვი, რუსი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი, Судьба и грехи России, Москва, 1992:

„ჩვენ ბავშვობიდან გვასწავლეს რუსეთთან საქართველოს მშვიდობიანი შეერთების შესახებ, მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის, როგორი ვერაგობითა თუ საქართველოსთვის როგორი დამცირებით გადაუხადა მას რუსეთმა ეს „თავისი ნებით შეერთება“...

გრიგოლ რობაქიძე

ზოგმა დამპყრობელმა ქუდი დაგვიტოვა თავისი, ზოგმა ტანსაცმელი, ზოგმა ცბიერება, ზოგმა თვალთმაქცობა, ზოგმა უზნეობა, ზოგმა ენა შეგვირყვნა და ზოგმა რჯული, მაგრამ იმდენი ზარალი, ზნეობრივ-გონებრივი ზარალი, არავის არ მოუყენებია, როგორიც მოგვაყენა რუსეთმა. სხვა მტერი რომ შემოვიდოდა ხოლმე საქართველოში, მიანგრ-მოანგრევდა, ააწიოკებდა მას და კვლავ გარბოდა. საქართველო რჩებოდა ისევ თვითარსად, თვითმმართველად, თავის თავის გამგებლად და ავად თუ კარგად თვითვე უვლიდა თავის შინაურსა და გარეშე საქმეებს. რუსები კი, მოვიდნენ თუ არა საქართველოში, მაშინვე სწვდნენ ქართველ ერს სულის სიღრმეში და მოინდომეს მისი გადაგვარება, მისი თავისებურობის მოსპობა. მათ თანდათანობით მოსპეს ჩვენი ეროვნული სკოლა, სამართალი, შემოიტანეს თავისი კანონები, სატუსაღოები, სკოლები, ყაზარმები და მონღოლურ-სლავური ვერაგობით იქამდე გაგვიხადეს საქმე, რომ დღესაც კი – რუსეთის დანგრევის შემდეგაც კი, არამც თუ ძველი თაობა, არამედ ახალი თაობაც კი ჯერაც გონს ვერ მოსულა და ისევ რუსულად აზროვნებს, მღერის, ჟღურტულებს. მარტო ბრმა და ყრუ ან ჯიუტი და მოღალატე ქართველი – მახარაძე-ორჯონიკიძის ტიპისა, თუ ვერ დაინახავს იმ უფსკრულს, რომელსაც უმზადებს ქართველ ერს დღევანდელი რუსეთი.

მარკიზ დე კიუსტინი, „ნიკოლოზ I“, თბილისი, 1936.

„უნდა იცხოვრო ამ უდაბნოში, ამ დაუსვენებელ ციხეში, რომელსაც რუსეთი ეწოდება, რომ იგრძნო ევროპის ხალხთა თავისუფლება, რანაირიც არ უნდა იყოს იქ მმართველობის წეს-წყობილება... ეს მოგზაურობა სასარგებლოა ყველა ევროპელისათვის, ყველა, ვინც ახლოს გაეცნობა მეფის რუსეთს, მოხარული იქნება იცხოვროს სხვაგან, რანაირიც არ უნდა იყოს ეს ქვეყანა“.

„რუსეთი ყველაზე ნაციონალისტური ქვეყანაა მსოფლიოში, არნახული ნაციონალისტური ექსცესების ქვეყანა, რუსიფიკაციით რომ თრგუნავს მის ძალაუფლებას დაქვემდებარებულ ეროვნებებს, ნაციონალური ბაქიობის ქვეყანა, სადაც ყველაფერი ნაციონალიზებულია თვით ქრისტეს მსოფლიო ეკლესიამდე, ქვეყანა, ერთადერთ ღვთის რჩეულად რომ მოაქვს თავი და ზიზღით უყურებს, მისი აზრით, დასაღუპად განწირულ მთელ ევროპას, როგორც ხრწნილებასა და ეშმაკების ნასხლეტს. რუსული თვინიერების უკუმხარეა უჩვეულო რუსული ამპარტავნება, სწორედ ყველაზე თვინიერია ყველაზე დიადი, სწორედ ყოველივე „რუსულია“ ალალ-მართალი, კეთილი, ჭეშმარიტი, ღვთაებრივი. რუსეთი წმინდაა, რუსეთი ცოდვილია, მაგრამ ცოდვაშიც წმინდა ქვეყნად, წმინდანთა ქვეყნად რჩება, სიწმინდის იდეალებით რომ სულდგმულობს.... რუსული ეროვნული ამპარტავნება იმაში ვლინდება, რომ რუსეთი თავის თავს მიიჩნევს არა მარტო ყველაზე ქრისტიანულ, არამედ მსოფლიოში ერთადერთ ქრისტიანულ ქვეყნად...“

I თავი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში

- საქართველო-რუსეთის პირველი კავშირები, „წიგნი ფიცისა“;
- ურთიერთობები XVII საუკუნეში;
- ვახტანგ VI-ის, თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის პოლიტიკური მიზნები და რუსეთი;
- რუსეთის აღმოსავლური პოლიტიკა, „ბერძნული პროექტი“ და გეორგიევსკის ტრაქტატი;
- პოლიტიკური მოვლენები ასპინძიდან კრწანისამდე;
- რუსული ოკუპაციის ასპექტები მფარველობის ხელშეკრულებებში.

§ 1. როდის იწყება საქართველო-რუსეთის ურთიერთობა

საქართველო-რუსეთის ურთიერთობა X-XI საუკუნეებიდან იწყება. ძველი რუსული საისტორიო წყაროს ცნობით, 1154 წელს რუსმა მთავარმა იზიასლავ მსტისლავის ძემ ცოლად შეირთო საქართველოს მეფის, დემეტრე I-ის (1125-1156) ასული. 1185 წელს თამარ მეფემ (1184-1213) იქორწინა რუს უფლისწულზე – იური ბოგოლიუბსკიზე. ეს დინასტიური ქორწინებები ცხადყოფენ, რომ ამ დროს საქართველო მაღალი დონის ქვეყნად ითვლებოდა და მასთან დაკავშირებას რუსი მთავრები პატივად თვლიდნენ.

რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურმა ურთიერთობებმა ინტენსიური ხასიათი XV საუკუნიდან მიიღო.

XV ს-ის II ნახევარში ერთიანი საქართველო დაიშალა. თითოეულ პოლიტიკურ ერთეულს, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის და საშინაო ვითარების მიხედვით, საგარეო საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, განსხვავებული საგარეო პოლიტიკა ჰქონდა შემუშავებული.

კახეთის მეფეებმა XV საუკუნის ბოლოს დაიწყეს დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება რუსეთის მეფე-მთავრებთან. მათ დაინახეს რუსეთის მზარდი ინტერესები კავკასიაში და სცადეს მისი გამოყენება ლეკთა თავდასხმების ასალაგმავად. ამ დროს რუსეთი მონღოლ-თათართა ბატონობისაგან განთავისუფლდა (1480 წ.), მისი დიპლომატები და ვაჭრები საქართველოს მეზობელ შარვანშიც გამოჩნდნენ.

წყარო .....

იური ბოგოლუბსკისთან (გიორგი რუსთან) გაყრის დროს სამეფო დარბაზის წინაშე წარმოთქმული თამარ მეფის სიტყვიდან:

„თუმცა, საღმრთო სჯულით განსწავლულმა, ვიცი, რომ არ შეიძლება პირველ საწოლთან განშორება, მაგრამ მოთმენა იმისა, ვინც თვით არ იცავს თავის საწოლს წმინდად, ჩვენგან არ ეგების, ვინაიდან ის შემაგინებელია ღმერთის ტაძრისა. და მე არ ძალმიძს მრუდე ხის ჩრდილის გასწორება და ამიტომ, უბრალოდ დავიფერთხავ იმ მტვერს, რომელიც ამეკრო შენგან“.

კახეთის სამეფოს პირველი კავშირები რუსეთთან

XVI საუკუნეში კახეთის სამეფომ უფრო აქტიური ურთიერთობა დაიწყო რუსეთთან. კახეთის მეფის ალექსანდრე I-ის (1476-1511) წერილი მოსკოვის რუსეთის „დიდი მთავრის“ივანე III-ისადმი (1462-1505) განპირობებული იყო, სხვა საკითხებთან ერთად, იმით, რომ კახეთის სამეფოს საკუთარი აბრეშუმის გატანა უნდოდა ასტრახანში, ოსმალეთისა და სპარსეთის გვერდის ავლით. წერილი შემონახულია რუსეთის სინოდის არქივში, რუსულ ენაზე.

1555 წელს სპარსეთ-ოსმალეთს შორის დადებულმა ამასიის ზავმა სამხრეთ კავკასიაში ვითარება გაართულა. ამ ზავით სპარსეთმა აღმოსავლეთ საქართველო მიიღო, ოსმალეთმა კი, დასავლეთ საქართველო დაისაკუთრა. გამწვავებულ პოლიტიკურ სიტუაციას კახეთის მეფეებმა რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის გააქტიურებით უპასუხეს. მათ ამ პოზიციას განაპირობებდა გეოგრაფიული ფაქტორიც: კახეთის სამეფოს საზღვრები დაღესტნამდე გადადიოდა, რუსეთი კი ივანე IV-ის დროს გახდა ვოლგისპირეთის მფლობელი. ასტრახანის სახანოს დაკავებით მისი საზღვრები კახეთის სამეფოს მოუახლოვდა. გართულდა რუსეთის ოსმალეთთან ურთიერთობაც. ივანე IV-მ დიპლომატიური კავშირი გააბა კახეთის მეფე ლევანთან (1520-1574). მანვე, 1564 წელს, მდინარე თერგისა და სუნჯას შესართავთან ააგო ციხე-სიმაგრე და შიგ ჯარი ჩააყენა. თუმცა, ოსმალეთმა ომის მუქარით აიძულა რუსეთი, ჯარი გაეყვანა თერგის ციხიდან.

ოსმალეთის წინააღმდეგ სამხრეთ კავკასიაში მოკავშირის მაძიებელმა რუსეთის მეფე თეოდორე ივანეს ძემ 1585 წელს კახეთში თავისი ელჩი – რუსინ დანილოვი გამოგზავნა. რუსეთის ხელმწიფემ დიპლომატი საგანგებოდ გააფრთხილა, რომ კახეთთან დაახლოების საქმეში მოსკოვის ინიციატივაზე ხმა არ ამოეღო. ინიციატივა კახეთის მეფეს უნდა გამოეჩინა, ელჩს უნდა დაერწმუნებინა იგი, რომ რუსთა ხელმწიფესთან პოლიტიკური კავშირი და მფარველობა ეთხოვა. წინადადება კახეთის ინტერესებსაც ეხმიანებოდა. ამიტომ, კახეთის მეფე ალექსანდრე II-მ (1574-1605) რუს დიპლომატებთან დაიწყო მოლაპარაკება, რაც 1587 წლის 28 სექტემბერს, „ფიცის წიგნის“ გაფორმებით დამთავრდა. დოკუმენტის ტექსტი მოსკოვში შეადგინეს.

როდიდან და რატომ უწოდეს რუსებმა მოსკოვს „მესამე რომი“

რუსეთის მსოფლიო იმპერიის შექმნის იდეა, სავარაუდოდ, პირველად რუსმა ბერმა ფილოფეოსმა წამოაყენა. იგი ვასილ III-სადმი (1505-1533) გაგზავნილ წერილში წერდა: „მოსკოვი დიდი მსოფლიო ქალაქების – ძველი რომისა და მეორე რომის – კონსტანტინოპოლის მემკვიდრეა, – მოსკოვი მესამე რომია, მეოთხე რომი კი აღარ იქნება“.

წყარო

ზურაბ ავალიშვილი, „საქართველოს შეერთება რუსეთთან“, სანქტ-პეტერბურგი, 1906:

„პეტრეს (I-ის) პოლიტიკა ქართველთა მიმართ, ჩვეულებრივი რეალისტური პოლიტიკაა და თუ ქართველები ძალზე გულუბრყვილოდ, მართლმადიდებლობაზე ამყარებდნენ იმედებს და სჯეროდათ „აგარიანებთან (მუსლიმებთან) ბრძოლისა“, ეს იმიტომ, რომ მათთვის, არსებობისათვის ელემენტარული ბრძოლა ადვილად იღებდა რელიგიურ ელფერს“.

წყარო

„წერილი რომელიმე ქართველისაგან მიწერილი რუსეთის ხელმწიფის მიხეილ თეოდორეს ძისადმი“.

(წერილში კახთა მეფის – ალექსანდრე II-ის ქრისტიანული სარწმუნოების ერთგულებასა და ოსმალთაგან შევიწროებაზეა საუბარი.).

„ჩემმან ბატონმან სხვა ღონე ვერა მონახა რა, თავისი თავი და ეკლესიანი და საბატონო თქვენ მოგაბარათ და თავი კალთაში ჩაგიდვათ. დიდი კონსტანტინეს მსგავსი ხელმწიფე ეგ არის, ყოვლის ქრისტიანის შემნახავნი ეგენი არიან, პირველმც მაგათი ტახტის მოსამსახურენი ვყოფილვართ და ახლა ჩვენი ხელმწიფე ფიცით ჰყმობია მაგ ხელმწიფეს. საქართველო ყოვლად წმიდის ღვთისმშობლის წილხვდომილია, წმინდას ღვთისმშობელს დამადლოს. ერთს წელიწადში ათასი და ორიათასი ნათლის-ღებული ყოველი გათათრდების, ქრისტეს გმობენ, ეკლესია შეურაცხდა და საკურთხეველსა მოგლიჯეს, ძაღლებს შეასხმენ, იბრძვის ჩემი ხელმწიფე მაგრად, როდემდის გავიდებთ თავსა, მეორედ მოსვლის ქრისტეს, რომ დაჯდეს განკითხვად, იმას შეზღვენით ამდენი ქრისტიანის მოხმარება. ორი საქმე გვიყავით ქრისტეს გულისათვის. ერთი ესე, რომე რაც წყალობა ჯამაგირი გვქონდეს, დაუკლებლად გვიბოძია, რაც მაშინ ნიკიფორე მიტროპოლიტის ხელით ებოძა, ჩვენმან ხელმწიფემან, იმისმან მზემან, ნახევარი ქრისტეს საფლავს და მონასტერს მისცა და გაცრცვილ ეკლესიას გაუყო სახატავად და საშენებლად, და მაგ ხელმწიფის სადღეგრძელოდ და სასულიეროდ, და ნახევრით აქამდინ თითონ დარჩა და ლაშქარსაც მისცა. აქამდის თავი ხელთა არა ჰქონდა, უქონლობით ვერა მოგიკითხეთ. მეორეს ამას ვეხვეწებით ხელმწიფეს, რომე ერთი დიდი ელჩი უბოძოს ყიზილბაშთა ხელმწიფესა, რომ დაგვეხსნას, ჩვენ არას შევცოდებთ, ნუ გვარბევენ, ამტონს ჩვენის რჯულისას ნუ ატყოებთ (ატყვევებთ?) თუ ჩემი მთავრობა გინდოდეს თქო, დაეხსენ თქო. ჩემის გულისათვის თქვენს ეკლესიას ნუ აქცევთ, კმა ამდენი ძალი უსამართლო, თუ არ დაეხსნები, მეც დაგემტერები-თქო.“

1589 წელს რუსეთის მეფემ კახეთის მეფეს გამოუგზავნა „წყალობის სიგელი“, რომელმაც დაადასტურა „ფიცის წიგნით“ გათვალისწინებული პირობები. ამით ეს ხელშეკრულება ორივე მხრიდან დამტკიცდა.

ალექსანდრე II
ლევანის ძე, კახთა მეფე
(1574-1605)

რას ავალდებულებდა „წიგნი ფიცისა“ ხელშეკრულების დამდებ მხარეებს და მუსლიმი მეზობლების პირველი რეაქციები

ხელშეკრულებით რუსეთს უნდა დაეცვა კახეთი დაღესტნელთა და სხვა დამპყრობელთა შემოსევებისაგან. რუსეთის მეფეები 1590 წლიდან თავიანთ ტიტულატურაში უკვე მოიხსენიებდნენ თავს „ქართველ მეფეთა ივერიის მიწების მფლობელად“.

კახეთის მეფეთა რუსეთისკენ სწრაფვა არ მოსწონდა სპარსეთს, რომელმაც დაასრულა ომი ოსმალეთთან, 1590 წელს ზავი დადო, დაიწყო რეფორმების გატარება და რეგიონში კვლავ ძლიერ ქვეყნად გადაიქცა. სპარსეთს ამ დროს შაჰ-აბას I მართავდა (1587-1629), რომლის მიზანი ამასიის ზავის პირობების აღდგენა იყო.

სპარსეთის შაჰი თავდაპირველად დადებითად შეხვდა კახეთ-რუსეთის კავშირს, რადგან რუსეთიც და კახეთიც საქმეს ისე წარმოადგენდნენ, თითქოს ოსმალეთის წინააღმდეგ ერთიანდებოდნენ. საბოლოოდ სპარსეთი, რა თქმა უნდა, არ აპირებდა კახეთის სამეფოს დათმობას და რუსეთთან მის დიპლომატიურ ურთიერთობასთან შეგუებას. შაჰ აბას I-ის დავალებით, 1605 წელს, რუს ელჩებთან შეხვედრისას ალექსანდრე II, უმცროს ვაჟთან გიორგისთან ერთად, მოკლა საკუთარმა შვილმა – გამაჰმადიანებულმა კონსტანტინემ, რომელმაც თავი კახეთის მეფედ გამოაცხადა, მაგრამ მხოლოდ ერთი წელი იმეფა. კახელებმა არ იგუეს ძმისა და მამის მკვლელი მეფე, ქეთევან დედოფლის ხელმძღვანელობით აჯანყდნენ და კონსტანტინე მოკლეს. შაჰ-აბასი იძულებული გახდა კახეთის ტახტზე აჯანყებული დედოფლის ვაჟი, თეიმურაზ I (1606-1648) დაემტკიცებინა. მისი მეფობის დროს შაჰ-აბასმა უდიდესი ეროვნული ტრაგედია დაატეხა თავს როგორც ქართლისა და კახეთის სამეფოებს, ასევე პირადად მეფე თეიმურაზ I-ის ოჯახს: ყიზილბაშებმა უამრავი ქართველი ამოხოცეს, უამრავი სამშობლოს მოწყვიტეს და სპარსეთში გაასახლეს, წამებით აღესრულნენ მეფის ვაჟიშვილები და დედა – ქეთევან დედოფალი.

თევდორე ივანეს ძე,
რუსთა მეფე (1584-1598)

ურთულესი საგარეო-პოლიტიკური ვითარების პირობებში, სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში თეიმურაზ I-მა სცადა რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის განახლებაც. 1635 წელს მან ელჩები გაგზავნა მოსკოვში და სამხედრო დახმარება ითხოვა. რუსეთიდან მხოლოდ უმნიშვნელო საჩუქრები და დაპირება მოუვიდა. მას რუსეთის მეფისადმი ერთგულების ფიცის დადება მოსთხოვეს. თეიმურაზმა განაახლა ალექსანდრე II-ის „ფიცის წიგნი“. 1653 წელს მან მოსკოვში, ალექსი მიხეილის ძე რომანოვის კარზე, აღსაზრდელად შვილიშვილი ერეკლე გაგზავნა (მას რუსეთში ნიკოლოზ დავითის ძეს უწოდებდნენ). რამდენიმე წლის შემდეგ თავადაც ჩავიდა მოსკოვში, თუმცა, რეალური დახმარება მეფე ალექსისგან ვერ მიიღო. თეიმურაზ I-ის პოლიტიკურმა მემკვიდრეებმაც ვერ შეძლეს სპარსულ-ოსმალური აგრესიის წინააღმდეგ რუსეთის გამოყენება. ამ დროს რუსეთის მთავარ ამოცანად ითვლებოდა ბალტიისპირეთის, დასავლეთ ბელორუსიისა და პოლონეთის, შავი და აზოვის ზღვის სანაპიროების, ყირიმის სახანოს დაპყრობა. ამით ის უპირისპირდებოდა არა მარტო ოსმალეთის იმპერიას, არამედ ევროპის დიდ ქვეყნებსაც.

ბორის გოდუნოვი
(1598-1605)

ვახტანგ VI (1675-1737)
ქართლის მეფე (1716-1724)

რა კონკრეტული შედეგი მოჰყვა რუსეთთან გაფორმებულ პირველ ხელშეკრულებას („წიგნი ფიცისა“)

კახეთის მეფეების დიპლომატიური ნაბიჯები რუსეთთან დასაწყისშივე წარუმატებელი გამოდგა. პირველი სერიოზული სამართლებრივი დოკუმენტი კახეთის სამეფოსა და რუსეთს შორის – „წიგნი ფიცისა“, რომელიც რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობამდე თითქმის ორი საუკუნით ადრე დაიდო, არ ყოფილა რეალურად მოქმედი ხელშეკრულება. რუსეთი შეფარულად მოქმედებდა: კახეთის სამეფოს მფარველობას და დახმარებას ჰპირდებოდა, სინამდვილეში კი, მისი დაპყრობა სურდა. რუსეთის ცბიერი დიპლომატია თავიდანვე აგებული იყო თითქოსდა ერთმორწმუნეობაზე, სინამდვილეში კი, ქართველების გამოყენებაზე კავკასიის დაპყრობაში. შაჰ-აბასის ღალატობები და მის მიერ დატრიალებული ტრაგედია ქართლისა და კახეთის სამეფოების რუსული ორიენტაციის შედეგი იყო.

ინფორმაცია

ვახტანგ VI (1675-1757) – პოეტი, მეცნიერი, ასტრონომი, ქიმიკოსი და ქართლის დიდი მეფე ვახტანგ VI მრავალმხრივი ნიჭით გამორჩეული ადამიანი იყო. ქართული განმანათლებლობისა და კულტურის ევროპეიზაციის მოთავემ, მან ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო ერის სულიერი კულტურის აღორძინების საქმეს. დიდი ბიძის, ქართლის მეფე გიორგი XI-ის მიერ ქართლის „ჯანიშინად“ დანიშნულმა, მთელი ძალისხმევა ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული აღორძინებისკენ მიმართა. მოქმედების გარკვეულ თავისუფლებას მას სპარსეთის პოლიტიკური კრიზისიც აძლევდა. შეიმუშავა კანონთა კოდექსი „დასტურლამალი“, რომელშიც მკვეთრად გამიჯნა ერთმანეთისგან სახელმწიფო მოხელეთა ფუნქციები და ქვეყნის ცხოვრებას, მის ყველა მხარეს მტკიცე ეროვნული საფუძველი შეუქმნა. მანვე შექმნა „სწავლულ კაცთა კომისია“ ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით, რომელმაც შეკრიბა და დაადგინა „ქართლის ცხოვრების“ წყაროები და დაწერა საქართველოს ისტორია XIV საუკუნიდან XVIII საუკუნემდე. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ვახტანგის მიერ ქართული სტამბის დაარსებას. გარკვეულ პერიოდში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეებით დატვირთული მეფე ახერხებდა დიპლომატიურ სვლას სამ მრისხანე მეზობელ დამპყრობელს შორის და გარკვეულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, მაგრამ სპარსეთ-ოსმალეთის ღია დაპირისპირებამ აიძულა რუსული ორიენტაციის არჩევა, ამ ნაბიჯის გამო, რაც წარუმატებელი აღმოჩნდა როგორც მისთვის, ასევე ქვეყნისთვის, 1724 წელს იძულებული გახდა რუსეთს გადახვეწილიყო. მეფემ გადასახლებაშიც სცადა ეძებნა გზა მუსულმანთაგან საქართველოს გათავისუფლებისა და გაერთიანებისა, რაც უშედეგოდ დასრულდა, ხოლო თავად ქართლის მეფე ქალაქ ასტრახანში გარდაიცვალა 1737 წელს და ადგილობრივ ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში დაკრძალეს.

ინფორმაცია

სულხან-საბა ორბელიანი
(1658-1725)

სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725) – დიდი ქართველი მწერალი, დიპლომატი, ლექსიკოგრაფი და მეიგავე, მთარგმნელი და ორიგინალური ტექსტების ავტორი, მრავალმხრივ ნიჭიერი სწავლული, ქართული განმანათლებლობისა და კულტურული აღორძინების ორგანიზატორი. შთამომავლობით დიდგვაროვანი ფეოდალი, ქართლის სამეფო კარზე ჩაბმული იყო იმ დროის ყველა კულტურულ ღონისძიებაში. იყო ანტისპარსული და ანტიოსმალური განწყობილების, მუდმივად ეძებდა საქართველოს გადარჩენის გზას. ამას ევროპასთან პოლიტიკურ და კულტურულ კავშირში ხედავდა. ის იყო ვახტანგ VI-ის აღმზრდელი და თანამოაზრე, მისი დავალებით, დიპლომატიური მისიით იმოგზაურა სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საფრანგეთსა და იტალიაში, 1715 წლის 19 იანვარს კონსტანტინოპოლში ჩავიდა, სადაც შეუდგა „ლექსიკონის“ წერას, რომელიც 1716 წლის 20 იანვარს დაასრულა. გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებებით ორბელიანმა მიიღო კათოლიკური აღმსარებლობა. 1724 წელს ვახტანგ მეფესთან ერთად რუსეთში გადასახლდა. ცხოვრობდა მოსკოვში, სადაც გარდაიცვალა 1725 წელს.

რა ინტერესები იდო პეტრე I-ისა და ვახტანგ VI-ის ურთიერთობაში

პეტრე I
(1682-1725)

რუსეთთან ურთიერთობაში კიდევ უფრო დიდი პოლიტიკური მარცხი განიცადა ქართლის სამეფომ. XVI-XVII საუკუნეებში ის თავგანწირულად ებრძოდა სპარსეთ-ოსმალეთის აგრესიას. ამის შედეგიც იყო, რომ სპარსეთმა ვერ შეძლო ქართლში მეფობის მოსპობა. მართალია, ქართველ მეფეებს სარწმუნოებას უცვლიდნენ, მეფობასაც შაჰის თანხმობით აძლევდნენ, მაგრამ ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის უფლებები არ დარღვეულა.

XVIII საუკუნის ქართლის გამოჩენილმა მეფემ, ვახტანგ VI-მ, ევროპის ქვეყნების დახმარებით სცადა სპარსეთის აგრესიისგან თავის დაღწევა. მაშინდელ ევროპას საქართველოს გამო სპარსეთთან დაპირისპირება არ სურდა. ამ მიზეზით, ვახტანგის მასწავლებლისა და დიდი ქართველი მწერლის – სულხან-საბას დიპლომატიური მისია ევროპაში 1713-1715 წლებში უშედეგოდ დასრულდა.

ინფორმაცია

პეტრე I – პეტრე ალექსის ძე რომანოვი (1672-1725), რუსეთის მეფე და პირველი იმპერატორი, რეფორმატორი, მედასავლეთე პოლიტიკოსი. დედამისი – ნატალია ნარიშკინა თავის ვაჟთან ერთად იდევნებოდა და მისი სამეფო-სამემკვიდრეო უფლება უგულებელყოფილი იყო. მიუხედავად ამისა, 1682 წელს სოფია ალექსის ასულის რეგენტობით 10 წლის პეტრე გამოცხადდა მეფედ, ხოლო 1689 წლიდან იგი გახდა სახელმწიფოს ფაქტობრივი ერთპიროვნული მართველი. ის იწყებს აქტიურ პოლიტიკურ მოქმედებებს და ატარებს რეფორმებს. 1693 წელს ის სტუმრობს არხანგელსკს, რომელიც იყო სამეფოს ერთადერთი ნავსადგური და ვაჭრობის დიდი ცენტრი. პეტრე ეცნობა უცხოური გემების კონსტრუქციებს. ჩრდილოეთის ცივი კლიმატის გათვალისწინებით, პეტრემ ყურადღება შავ ზღვაზე გაამახვილა, რომელიც ზამთარში არ იყინებოდა და ხელშემწყობი იქნებოდა რუსული ეკონომიკისთვის. 1695 წელს წარუმატებლად ილაშქრა აზოვზე, რის გამოც ევროპაში წასვლა და გემთმშენებლობის შესწავლა გადაწყვიტა. 1700 წელს დაიწყო ომი შვედეთთან და მოიპოვა ბალტიის ზღვაზე გასასვლელი. რუსეთის ისტორიაში ის ცნობილია ზედწოდებით – პეტრე დიდი.

1716 წელს ვახტანგი იძულებით გამაჰმადიანდა, რის შემდეგაც სპარსეთის შაჰმა ქართლის მეფის ტახტზე დაამტკიცა. შაჰის ამგვარი ძალადობა აუტანელი იყო ქართველი პატრიოტებისთვის. ისინი ეძებდნენ მოკავშირეს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ევროპაში მარცხიანი ვიზიტის შემდეგ ვახტანგ VI-მ რუსეთთან ფარული დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება დაიწყო. 1712-1719 წლებში სპარსეთში მყოფ ვახტანგთან კავშირი რუსეთის ელჩმა არტემ ვოლინსკიმ გაიბა. ეს ურთიერთობა ელჩს დავალებული ჰქონდა რუსეთის მეფის პეტრე I-ისგან, რომელიც წარმატებით ებრძოდა ძლიერ ევროპულ სახელმწიფოს – შვედეთს. ომში გამარჯვებამ და იმპერიის საზღვრების ჩრდილოეთით გაფართოებამ პეტრეს გაუძლიერა რწმენა, რომ რუსეთის საზღვრებს სამხრეთითაც გადასწევდა. ამისთვის მას ჭირდებოდა ოსმალეთისა და სპარსეთის განდევნა კასპიის და შავი ზღვის სანაპიროებიდან.

წყარო .....

ნიკო ბერძენიშვილი პეტრე I-ის შესახებ, „საქართველოს ისტორიის საკითხები, II“:

„ამავე დროს ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ ასპარეზზე აქტიურად გამოვიდა პეტრე დიდის რუსეთი და კათოლიკური ევროპის მხრით დახმარების იმედგაცრუებული ქართველებიც თავისი ქვეყნის „გამოხსნისა და აღდგომის“ იმედებით ადვილად შეუკავშირდნენ პეტრე ხელმწიფეს, რომელმაც სრულიად გარკვეული პოლიტიკური დაპირებანი მისცა თავის ახალ მოკავშირეს. მაგრამ მოვლენები ახლობელ აღმოსავლეთში ისე განვითარდა, რომ იმავე პეტრეს თანხმობით საქართველო გამოხსნის მაგივრად „ბაბრის კლანჭებში“ მოექცა. ის ოსმალეთმა დაიპყრო (1723)“.

არტემ ვოლინსკი
(1689-1740)

წყარო .....

რუსი სამართალმცოდნე ნ. კორკუნოვი რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკის შესახებ, წიგნიდან – რუსული სახელმწიფო სამართალი, სანქტ-პეტერბურგი, 1909:

„რუსეთისა და კახეთის სამეფოს ურთიერთობა, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეების ურთიერთობა რუსეთთან (1587-1783), არის პროტექტორატი, ანუ მფარველობა, რომელიც სცილდება შინასახელმწიფოებრივ დამოკიდებულებას და განსხვავდება ვასალიტეტისაგან. ერთი სახელმწიფოს პროტექტორატში მეორე სახელმწიფოს შესვლა არ იწვევს ერთი მთლიანი პოლიტიკური ერთეულის წარმოქმნას, მათი ურთიერთ დამოკიდებულება ინარჩუნებს სახელშეკრულებო ხასიათს... რუსეთს არაერთგზის განუხორციელებია პროტექტორატი მეზობელ აზიურ სახელმწიფოებთან, რაც თანდათან გადადიოდა ამ ქვეყნების სრულ დაუფლებაში: ასეთი მხარე ხდებოდა რუსეთის ტერიტორიის ნაწილი. ამ გზით განხორციელდა, მაგალითად, საქართველოს სამფლობელოების შეერთება რუსეთთან“.

არტემ ვოლინსკისაგან სპარსეთიდან მიწოდებული ცნობებით, პეტრემ გაიგო, რომ ქართველების სამხედრო ძალა სპარსეთში მნიშვნელოვანი იყო. „ყველა ომს ეს ქვეყანა ქართული ჯარით იგებს, თუ მოისურვებენ და გაერთიანდებიან, ქართველებს არა მარტო თავის განთავისუფლება შეუძლიათ სპარსეთისგან, არამედ მისი დაპყრობაცო“, – წერდა ვოლინსკი. პეტრე I-მა გადაწყვიტა ოცდაერთწლიან ომში დასუსტებული რუსული არმია ამ ჯარით გაემაგრებინა.

ინფორმაცია

არტემ პეტრე ძე ვოლინსკი (1689-1740) – რუსი სახელმწიფო მოღვაწე და დიპლომატი. სპარსეთში რუსეთის წარმომადგენელი დაუახლოვდა ვახტანგ VI–ს და რუსეთთან მის დაკავშირებას უწყობდა ხელს. 1719-1724 წლებში იყო ასტრახანის გუბერნატორი, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პეტრე I–ის კასპიისპირეთის ლაშქრობაში, მხარს უჭერდა პეტრე I-ისა და ვახტანგ VI–ის ერთობლივი ლაშქრობის იდეას სპარსეთის წინააღმდეგ. 1725-1730 წლებში იყო ყაზანის გუბერნატორი, 1738 წლიდან კაბინეტ-მინისტრი და იმპერატორ ანა ივანეს ასულის უახლოესი თანამშრომელი. ებრძოდა უცხოელთა გავლენას საიმპერატორო კარზე, ბირონსა და ბირონოვშჩინას. ბირონმა და ოსტერმანმა შეძლეს ვოლინსკისა და მისი მომხრეების განეიტრალება, 1740 წელს ვოლინსკი დააპატიმრეს და სახელმწიფოს ღალატის ბრალდებით სიკვდილით დასაჯეს.

როგორ არ გამართლდა ერთმორწმუნეობისადმი ქართველების იმედები

1721 წელს დამთავრდა შვედეთთან ომი, რუსეთი იმპერიად გამოცხადდა, პეტრე I კი მისი პირველი იმპერატორი გახდა.

1722 წელს რუსეთმა სპარსეთის წინააღმდეგ სამხედრო კამპანია წამოიწყო, რაშიც ვახტანგ VI-ის ჩართვაც შეძლო. ქართლის მეფესა და რუსეთის იმპერატორს თავ-თავიანთი ინტერესები ამოძრავებდათ. ორივეს მიზანი სპარსეთის განადგურება იყო, მაგრამ გამარჯვების შემდეგ ვახტანგს, რუსეთის დახმარებითა და მფარველობით, რეგიონში ძლიერი ქართული სახელმწიფოს შექმნა სურდა, პეტრეს კი კასპიისპირეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონება. ეს ორი ინტერესი, საბოლოო ჯამში, ერთმანეთს გამორიცხავდა.

იმდენად დიდი იყო პეტრესადმი ვახტანგის რწმენა, რომ მან არ დაუჯერა სამეფო დარბაზს, ქართველ დიდებულებს, – გადაეფიქრებინა ამ ლაშქრობაში მონაწილეობა. მამის გადაწყვეტილების წინააღმდეგი იყო ტახტის მემკვიდრე ბაქარიც, რომელიც 1722 წლის მარტში შაჰის გვარდიის სარდლად დაინიშნა. ვახტანგის იმედი პეტრეს პიროვნებასა და ერთმორწმუნეობაზე იყო აგებული. ვახტანგს ვერ წარმოედგინა ქრისტიანი მეფისგან ღალატი.

1722 წლის ივლისში პეტრემ დაიწყო ლაშქრობა, ხელთ იგდო კასპიის ზღვის დაღესტნის სანაპირო. მასთან საკუთარი ნებით გამოცხადებულმა კასპიისპირეთის ციხე-ქალაქების მმართველებმა ქვეშევრდომობა აღუთქვეს. პეტრე მიხვდა, რომ რეგიონის

ინფორმაცია

იმპერატორი ეკატერინე I (1684-1727) – პეტრე I-ის მეორე ცოლი, წარმოშობით ბალტიისპირელი გერმანელი, რომელიც, ქმრის გარდაცვალების შემდეგ, 1725-1727 წლებში მართავდა რუსეთს. მისი ნამდვილი სახელი იყო მარტა სამუილოვნა სკავრონსკაია, პირველი ქორწინებით ატარებდა კრუზეს გვარს. მართლმადიდებლური სარწმუნოების მიღების შემდეგ დაერქვა ეკატერინა ალექსეევნა მიხაილოვა. იყო რუსეთის მომავალი იმპერატორის – ელისაბედ პეტრეს ასულის დედა. მის პატივსაცემად, 1713 წელს, პეტრე I-მა დააარსა წმინდა ეკატერინეს ორდენი და 1723 წელს ქალაქი ეკატერინბურგი ურალზე. მის სახელს ატარებდა ცარსკოე სელოში ეკატერინეს სასახლე, რომელიც მისმა ქალიშვილმა ელისაბედმა ააგო.

დამორჩილება ძნელი არ იყო, ამას ქართული ჯარის გარეშეც იოლად მოახერხებდა. თუმცა, ისიც ცხადი გახდა, რომ რუსეთი პოზიციების განმტკიცებას ჯერ ვერ შეძლებდა: არ ეყოფოდა სურსათი და ფურაჟი, თანაც ჯარში ეპიდემია გავრცელდა. ეს რუსეთის იმპერატორმა ლაშქრობის შეწყვეტის საბაბად გამოიყენა (სინამდვილეში ეს სერიოზული ეპიდემია არ ყოფილა, რუსეთის სარდლობამ გაითვალისწინა კასპიისპირეთის ბუნებრივი პირობები, მედიკამენტები წინასწარ მოიმარაგა და ლაშქრობაში მრავალრიცხოვანი სამედიცინო პერსონალიც წამოიყვანა).

ვახტანგის ბედი მას არ ანაღვლებდა. ქართლის მეფის მარცხი და კატასტროფა რუსეთისთვის ხელსაყრელიც კი იყო, რადგან დასუსტებულ ქართლის სამეფოს უფრო ადვილად დაისაკუთრებდა.

წყარო .....

პასუხი იმპერატრიცა ეკატერინე I-ის სახელით ქართლის მმართველის – ჰუსეინ ყული-ხანის (ვახტანგ VI) მოსაზრებაზე.

ორიგინალი დაწერილია რუსულ ენაზე (სიგელი ამოღებულია წიგნიდან – Переписка на иностранных языках Грузинских царей с Российскими государями, от 1659 по 1770 г., СПБ. 1861. გვ. 183-188).

იმპერატორ პეტრე პირველის ცოლი – ეკატერინა I (1725-1727), რომელიც რუსეთის იმპერატორი გახდა ქმრის გარდაცვალების შემდეგ, უკმაყოფილო იყო ქართლის მეფის – ვახტანგ VI-ის საქციელით, რომელიც რუსეთში წავიდა და არ შეასრულა პეტრესა და მისი დავალება – არ წაიყვანა მთელი თავისი ჯარი, ქართველი და სომეხი ქრისტიანი მოსახლეობა, მიაჩნდა, რომ ასე განთავისუფლდებოდნენ ისინი მაჰმადიანი დამპყრობლების შემოტევებისგან, ხოლო მათგან დატოვებულ მიწებზე რუსები თავის ხალხს დაასახლებდნენ.

აი, ზუსტად რა მისწერა იმპერატრიცა ეკატერინამ მეფე ვახტანგს: ჯერ ჩემ ქმარს და მერე მეც იგივე მსურდაო: „რომ თქვენი სამფლობელოებიდან ქართველები და იქ მცხოვრები სხვა ქრისტიანი მცხოვრებლები და ჯარი გადმოსახლებულიყვნენ, რათა აქ, თავის მიწასთან ახლოს, უშიშრად ეცხოვრათ გარკვეული დროის განმავლობაში, ხელმწიფე იმპერატორის დაცვის ქვეშ მყოფებს. მაგრამ თქვენმა უგანათლებულესობამ თან არავინ იახლა, განაცხადეთ, რომ საქართველოდან არავინ მოდის იმ ადგილებში დასასახლებლად და რომ მათ ურჩევნიათ დარჩნენ მაჰმადიანთა ქვეშევრდომობაში, ვიდრე ცოტა ხნით მაინც დასტოვონ თავიანთი სამშობლო რწმენის სიყვარულის გამო. ამის შემდეგ ჩვენ თქვენი რა იმედი უნდა გვქონდეს, როდესაც თავად არაფრის გაკეთება არ გსურთ საკუთარი გათავისუფლებისათვის?

ამრიგად, ჯერ კიდევ პეტრეს უნდოდა „საქართველო ქართველების გარეშე“. ცოტა ხნით გადმოსახლდით რუსეთში, ჩვენი გზები დაიცავით ყაჩაღებისგან, მერე ვნახოთო. შაჰ-აბასმა რომ აყარა ქართველები და სპარსეთში გადაასახლა, ისე გამოდიოდა...

ინფორმაცია

ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი, ქართველი ბატონიშვილი, მეფე-პოეტის – არჩილ II-ის ვაჟი. იყო რუსული არმიის პირველი არტილერიის გენერალი, პეტრე I-ის მეგობარი, ტყვედ ჩავარდა შვედეთის ომში და 10 წელი გაატარა იქაურ ციხეში. იცოდა რა პეტრე I-თან ალექსანდრეს სიახლოვე, შვედეთის მეფემ – კარლოს XII-მ მის განთავისუფლებაში რამდენიმე კასრი ოქრო მოითხოვა. პეტრემ ალექსანდრეს თავად მიწერა, გადაეხადა თუ არა შვედეთისთვის ეს დიდი და მძიმე გადასახადი, რაზეც ქართველმა უფლისწულმა ასე უპასუხა: „არათუ სათქმელად, ფიქრადაც არ მომსვლია რაიმე ზარალი მოუვიდეს სახელმწიფოს, არათუ ჩემი განთავისუფლებისა, არამედ იმათი განთავისუფლებისთვისაც კი, რომლებიც ჩემზე ათასკეცად მეტი ღირან. ჩვენ ამისათვის ვართ მოწოდებულნი – ვითმინოთ და მოვკვდეთ სახელმწიფოსა და მამულის ინტერესებისათვის“. „სახელმწიფოსა და მამულში“ ქართველი ემიგრანტი გულისხ-მობდა რუსეთს, რომელმაც რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მისი ნამდვილი სამშობლო უსამართლოდ დაიპყრო. ტყვე ალექსანდრე ბაგრატიონმა ციხეში რუს გენერლებთან კავშირისთვის საიდუმლო (ქართული) ანბანი გამოიყენა. ალექსანდრე ბაგრატიონი 10 წლის ტყვეობის შემდეგ გაათავისუფლეს, პეტრე მას რიგაში შეეგება, მაგრამ დაავადმყოფებული და დასუსტებული ქართველი უფლის-წული გარდაიცვალა. პეტრემ ის გადაასვენა მოსკოვში და დაკრძა-ლეს დონის მონასტერში.

ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი (1674-1711)

წყარო .....

მეფე ვახტანგის სიგელი არტემ პეტროვიჩ ვოლინსკის, ასტრახანის გუბერნატორისადმი:

„პატიოსანო არტემ პეტრეს შვილო:! ქ. დიდებულო, ამაღლებულო და განათლებულო ძმაო, ბატონო: ჩვენ, მეფე ქართველთა ვახტანგ, მოგიკითხავთ სიყვარულითა, ერთობითა. მერმე, წიგნი მოგეწერათ, ძმობრივი მოკითხვა, ნუგეშის-ცემა, მაღლის ხელმწიფის წყალობა და იმედი გებრძანებინათ. ვმადლობთ ჩვენზედან თქვენს მრავალ ფერს სიყვარულსა და ქველის მოქმედებასა, რომე ჩვენთვის ირჯებით და ჩვენ საქმეს თავსიდებთ. აწ, სანამდის ეს ხელმწიფის ნაბოძები ელჩი ივანე ანდრიაშვილი მოვიდოდა, ჩვენ ჯარი შევიყარეთ, განჯას მოვედით და ამისი მომლოდინენი ვიყვენით, რომე, სადაც ხელმწიფეს ებძანებინა იქი ვხლებოდით: როდესაც ეს მოვიდა, დავბრუნდით და ჩვენს ალაგს მოვედით. დასტურ, ამ საქმით ყეენიც მოვიმდურეთ, ხონთქარიც წყრომას ითვლევინება, კახ ბატონიც აგვეშალა, მაგრამე, რადგან ჩვენი თავი მაგათ სასამსახუროთ დაგვიძს, რაც უნდა გარდაგვხდეს წამებად მიგვაჩნია, ოღონდ ეს დაგვემართოს, რომელიც იმედი გვაქვს მაგათი ხელმწიფობისაგან, ის აღგვისრულონ და მწუხარებაში არ დაგვაგდონ. ახლა, რომე ხელმწიფეს წიგნი ებოძა, ის წიგნი, ყეენის შვილია შაჰზადა, იმას გაუგზავნეთ, ამიტომ, რომ ეგების ამ საქმით ჯერ ხანათ ამის მტერობას მოვრჩეთ. აგრევე ხონთქართანაც კაცი და წიგნი გავგზავნეთ და რომელიც მართებული სიტყვა იყო, ის მოვახსენეთ. გვაქვს იმედი ხელმწიფის ბედნიერობით, რომე ამ გზობით იმათ ლაშქრობას მოვრჩეთ. კახი ბატონი არის და ღთით არას შევაძლებინებთ: იმ ყეენის ანბავს იკითხამთ. მისი ხსენება და ანბავი არა არის რა. მტრისაგან დიაღ შეწუხებულია: ჩვენ ამას ვიაჯებით და ხელმწიფეს თავს დაუკრავთ, რომე, თუ მათი მობძანება გვიანდებოდეს, ერთი ასეთი ჯარი ადრე გამოაჩინონ და მოგვაშველონ, რომე ამ ქვეყანას ეიმედებოდეს და ზურგად მოებმოდეს: ვითხოვ თქვენის ჩვენზე ძმობრივის სიყვარულისა და ქველის მოქმედებისაგან, რომე, რაგადაც აქამდინ ჩვენთვის გარჯილ იყვნეთ და ბევრი სიკეთე გექნასთ, ახლაც კიდევ უფრო მოინდომოთ, ჰმატოთ და არა დააკლოთ რა ჩვენის სიყვარულისა თვინ.“

დოკუმენტი ამოღებულია წიგნიდან: Переписка на иностранных языках Грузинских царей с Российскими государями, от 1659 по 1770 г., СПБ. 1861. გვ. 179-180.

ვახტანგ მეფის დიპლომატიური მარცხის გაკვეთილი

1722 წელს ვახტანგ VI 30-ათასიანი ქართული და 10-ათასიანი სომხური ჯარით განჯასთან იდგა და ამაოდ ელოდა რუსეთის იმპერატორს. ორი თვის შემდეგ ქართლის მეფემ გაიგო, რომ რუსული ჯარი უკან გაბრუნდა და ერთობლივი სამხედრო კამპანია ჩაიშალა. პეტრეს ამ გადაწყვეტილებამ ურთულეს ვითარებაში ჩააგდო იგი: სპარსეთის შაჰმა არ აპატია რუსეთთან დაკავშირება და ღალატი, წაართვა მეფობა და ქართლში გამაჰმადიანებული კახეთის მეფე – კონსტანტინე დასვა. მალე ოსმალებიც შემოიჭრნენ, 1724 წელს მათ კონსტანტინე ტახტიდან ჩამოაგდეს და ქართლი არზრუმის ფაშას დაუქვემდებარეს. დახმარების ნაცვლად, 1724 წელს სტამბულში დადებული რუსეთ-ოსმალეთის ზავით რუსეთის იმპერატორმა დაადასტურა აღმოსავლეთ საქართველოში ოსმალთა ბატონობა. ამ ფაქტმაც აჩვენა რუსეთის დამპყრობლური ინტერესები საქართველოსადმი.

მოტყუებულ ვახტანგს ოსმალო-ყიზილბაშების მიერ დაკავებულ და აოხრებულ სამეფოში აღარ დაედგომებოდა და 1724 წელს, დიდი ამალით (1200-1500 კაცი) რუსეთში წავიდა. ამ ამალაში შედიოდა თითქმის ყველა განათლებული და მოაზროვნე ქართველი, რამაც საქართველოს კულტურას, განათლებას და მეცნიერებას უმძიმესი დარტყმა მიაყენა.

პეტრე I-მა ტრაგიკულ მდგომარეობაში მყოფ ვახტანგ VI-ს მოსკოვში ცხოვრების უფლებაც არ მისცა. ვახტანგმა მაინც ჩააღწია მოსკოვს, თუმცა, იმპერატორი გარდაცვლილი დახვდა, მისმა მემკვიდრეებმა დახმარებაც კი არ გაუწიეს. იმედგაცრუებული და დამარცხებული ვახტანგ VI ასტრახანში დასახლდა, სადაც გარდაიცვალა 1737 წელს.

ვახტანგის საქართველოდან წასვლის შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფო ჯერ „ოსმალობამ“, შემდეგ კი „ყიზილბაშობამ“ განადგურების პირას მიიყვანა. ეს იყო რუსული ორიენტაციის გამო კიდევ უფრო გაბოროტებული მეზობელი იმპერიების ანგარიშსწორება გადარჩენისთვის მებრძოლი ქვეყნის წინააღმდეგ.

ინფორმაცია

პეტრე I-ის ანდერძი

1812 წელს პარიზში ანონიმი ავტორის მიერ გამოიცა წიგნი რუსეთის სახელმწიფოს შექმნისა და განვითარების შესახებ. წიგნში პირველად მოიხსენიება პეტრე I-ის ანდერძი, როგორც საიდუმლო ისტორიული დოკუმენტი. ანდერძის სრული ტექსტი გამოქვეყნდა 1836 წელს ფრანსუა გაიარდეს წიგნში – „რაინდ ეონისის მოგონებები“. წიგნში მოხსენიებული იყო ანდერძის 14 პუნქტი. 1839 წელს პოლონელმა ისტორიკოსმა ხოდზკომ ნაშრომში – „პოლონეთის ისტორია“ გამოიყენა ეს დოკუმენტი. დიდმა პოლონელმა პოეტმა ადამ მიცკევიჩმა 1849 წელს გამოცემულ წიგნში „სლავები“ ანდერძის 14-ივე პუნქტი დაასახელა. ავტორები აღნიშნავდნენ, რომ დოკუმენტი პეტრე I-ის ხელით არის შესრულებული და ის აღებული იყო პეტერგოფის სასახლის საიდუმლო საცავიდან. XVIII საუკუნის საინტერესო პიროვნება, ფრანგი კავალერი დ`ეონი, რომელიც ლუი XV-ის პირადი აგენტი იყო რუსეთში, ამაყობდა, რომ მან მოიპარა დოკუმენტი პეტრე I-ის საიდუმლო საცავიდან და აფრთხილებდა ლუი XV-ს რუსეთის მზაკვრულ გეგმებზე. თვითონ რუსეთის სამეცნიერო წრეების დამოკიდებულება პეტრე I-ის პოლიტიკური ანდერძის მიმართ მკვეთრად უარყოფითია. ისინი საიდუმლო დოკუმენტს გამოგონილს უწოდებენ.

წყარო .....

რა ეწერა პეტრე I-ის ანდერძში

„უწმინდესი და განუყოფელი სამების სახელით, ჩვენ, პეტრე, სრულიად რუსეთის იმპერატორი და ხელმწიფე, ყველა ჩვენს შთამომავალსა და ტახტის მემკვიდრეს და რუსი ერის მმართველობას, მივაწერთ...

1. მხარი დაუჭიროს რუსი ხალხის განუწყვეტელი ომის მდგომარეობაში ყოფნას, რათა ჯარისკაცი გამოწრთობილი იყოს ბრძოლაში და დასვენება არ იცოდეს: მივცეთ მათ სიმშვიდე მხოლოდ სახელმწიფოს ფინანსების გაუმჯობესების მიზნით, არმიის გარდაქმნისთვის და საიმისოდ, რათა დაველოდოთ თავდასხმისათვის ხელსაყრელ დროს. ამგვარად, ისარგებლეთ მშვიდობით ომისათვის და ომით მშვიდობისათვის რუსეთის საზღვრების გაფართოებისა და მისი მზარდი კეთილდღეობის ინტერესებისათვის;
2. ყველა შესაძლებლობის გამოყენებით მოიწვიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნებიდან სამხედრო მეთაურები ომის დროს და მეცნიერები მშვიდობიანობისას, იმისათვის, რათა რუსმა ხალხმა გამოიყენოს სხვა ქვეყნების სარგებელი და არ დაკარგოს საკუთარი;
3. ნებისმიერი შესაძლებლობისას, ჩაერიოს ევროპის საქმეებსა და განაწილებაში, განსაკუთრებით ეს ეხება გერმანიას, რომელიც, როგორც უახლოესი ქვეყანა, რუსეთისთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს;
4. დაანაწილოს პოლონეთი, ხელი შეუწყოს იქ მუდმივ არეულობასა და შეჯახებებს, ძლიერები მიიმხროს ოქროს საშუალებით, გავლენა იქონიოს სეიმზე, მოისყიდოს მისი წევრები იმისათვის, რომ გავლენა ჰქონდეს მეფეების არჩევაზე, წარადგინოს ამ არჩევნებზე საკუთარი მომხრეები, გაუწიოს მათ მფარველობა, შეიყვანოს იქ რუსული ჯარი და დროებით დატოვოს, სანამ სამუდამოდ დატოვების შემთხვევა არ მიეცემა. თუ მეზობელი ქვეყნები სირთულეებს შეუქმნიან, ისინი პოლონეთის დროებითი განაწილებით და მათთვის გაზიარებით დააწყნაროს იმ დრომდე, სანამ შესაძლებელი არ გახდება უკან წაართვას ის, რაც დაუთმო;
5. რამდენადაც შესაძლებელია, მეტი ტერიტორია წარსტაცოს შვედეთს, რათა მოახდინოს მისი თავდასხმის პროვოცირება, იმისათვის, რომ მისი დაპყრობის საბაბი მიეცეს. უნდა გაწყვიტოს ყოველგვარი კავშირი დანიასა და შვედეთს შორის, მათი ერთმანეთზე მუდმივი წაქეზებით;
6. ყველა რუსი იმპერატორი დაქორწინდეს მხოლოდ გერმანელ პრინცესაზე;
7. ინგლისთან მიღწეულ იქნას ყოველმხრივი კავშირი;
8. წინ წაიწიოს ჩრდილოეთით ბალტიის და სამხრეთით შავი ზღვისკენ;
9. რაც შეიძლება მიუახლოვდეს კონსტანტინოპოლსა და ინდოეთს (მათი მფლობელი მსოფლიოს მფლობელი იქნება). ამ მიზნით გააჩაღოს მუდმივი ომები თურქეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ, დააარსონ ვერფები შავ ზღვაზე, თანდათანობით დაიპყრონ როგორც ეს ზღვა, ისე ბალტიისაც, რადგან ორივე მათგანი საჭიროა გეგმის განსახორციელებლად – დაპყრობილ იქნას სპარსეთი, მივიდეთ სპარსეთის ყურემდე, თუ შესაძლებელია, აღდგენილ იქნას უძველესი ვაჭრობა ლევანტში, სირიის გავლით და მიღწეულ იქნას ინდოეთამდე, როგორც მსოფლიო შესაკრებ (სასაწყობე) პუნქტამდე. მისი დაუფლების შემდეგ, ინგლისური ოქროს გარეშეც შეიძლება გაძლება;
10. ავსტრია: ღიად მხარი დაეჭიროს მასთან კავშირს, მაგრამ საიდუმლოდ პროვოცირებულ იქნას მის წინააღმდეგ არაკეთილმოსურნეობა. საბოლოო მიზანი – მასზე დამყარდეს რუსეთის პროტექტორატი.

11. ავსტრიასთან ერთად შეავიწროონ თურქები;
12. საკუთარი თავი გამოაცხადონ მართლმადიდებლობის დამცველად პოსპოლიტა რეჩიში, უნგრეთსა და ოტომანთა იმპერიაში, ამ სახელმწიფოების შემდგომი დამორჩილების მიზნით;
13. როდესაც დამარცხდება შვედეთი, სპარსეთი, პოლონეთი, თურქეთი და ავსტრია, არმიები გაერთიანდება, შავი და ბალტიის ზღვები კი დაცული იქნება ფლოტის მიერ, მაშინ გირჩევთ განსაკუთრებული გასაიდუმლოების პირობებში შესთავაზოს ჯერ საფრანგეთს, შემდეგ კი გერმანიას, გაინაწილონ მსოფლიოში გავლენის სფეროები. თუკი რომელიმე მათგანი ამ წინადადებას მიიღებს (ეს კი აუცილებლად მოხდება) – თავდაპირველად განადგურდეს დარჩენილი მოწინააღმდეგე, შემდეგ კი გადარჩენილი. ბრძოლის დასასრული გადაწყვეტილი იქნება, რადგან რუსეთს ამ დროისათვის უკვე დაპყრობილი ექნება მთელი აღმოსავლეთი და ევროპის ნაწილი;
14. თუკი ორივე უარს იტყვის ამ წინადადებაზე, მაშინ მათ შორის უნდა მოხერხდეს ომის გაჩაღება, რათა ორივე მათგანი დაიქანცოს და გამოიფიტოს ამ ომში. ამის შემდეგ რუსეთმა სახმელეთო ჯარი უნდა გაგზავნოს გერმანიაში, ხოლო ფლოტი, აზოვის ზღვიდან და არხანგელსკიდან ხმელთაშუა ზღვაში და, შესაბამისად, ატლანტიკის ოკეანეში. ისინი მოახდენენ საფრანგეთისა და გერმანიის იზოლირებას და დაარჩარებენ მათ კაპიტულაციას, რის შემდეგაც ევროპა დე-ფაქტო დაპყრობილი იქნება.“

ამრიგად, „ანდერძი“ ავალებს პეტრეს მემკვიდრეებს, აწარმოონ განუწყვეტელი საბრძოლო მოქმედებები, ომისა და დიპლომატიური ინტრიგების საშუალებით დაიმორჩილონ მთელი ევროპა, დაანაწილონ პოლონეთი, გაანეიტრალონ თურქეთი, დაიპყრონ ინდოეთი, რის შედეგადაც საბოლოოდ მიაღწევენ სრულ ევრაზიულ ჰეგემონიას. „ანდერძის“ ნაწილი, ამ დოკუმენტის გამოჩენის პერიოდისთვის უკვე „განხორციელებული“ იყო (მაგალითად, დინასტიური კავშირები გერმანულ სახელ-მწიფოებთან, დასავლეთის კულტურული გამოცდილების აქტიურად მოზიდვა, შავ ზღვაზე გასასვლელის გაფართოება და პოლონეთის დანაწევრება), რაც მეტ დამაჯერებლობას ანიჭებდა „გეგმის“ დანარჩენ ნაწილს.

ტექსტის ავთენტურობა, შესაძლოა, მართლაც იყოს საეჭვო, მაგრამ ცხადია, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკა, პეტრეს დროიდან, ერთგულად მისდევს „ანდერძში“ ჩადებულ იმპერიულ იდეოლოგიას. XVIII ს-ის ბოლოს რუსეთის იმპერიის მიერ წამოყენებული ე. წ. „ბერძნული პროექტი“ და პავლე I-ის მიერ ინდოეთში ლაშქრობის გადაწყვეტილება (რომ აღარაფერი ვთქვათ მომდევნო რუსი იმპერატორების, თვით საბჭოთა იმპერიისა და დღევანდელი რუსეთის იმპერიულ ამბიციებზე) ნათელს ხდის „პეტრეს ანდერძში“ გახმოვანებული რუსული იდეოლოგიის რელევანტურობას.

§ 2. რუსეთის ჩამოყალიბება იმპერიად და მზადება კავკასიის დაპყრობისთვის

თეიმურაზ II
(1744-1762)

ერეკლე II
(1744-1798)

1721 წელს პეტრე I-მა რუსეთი იმპერიად გამოაცხადა. მისმა მომდევნო მეფეებმა დაიწყეს ბრძოლა მიმდებარე ტერიტორიების დაპყრობის ხარჯზე სახელმწიფოს გაფართოებისათვის. ქართველმა მეფეებმაც ისე, რომ არ გაითვალისწინეს ვახტანგ VI-ის დიპლომატიური მარცხის გაკვეთილი, გააგრძელეს ბრძოლა რუსეთთან დასაახლოებლად. განსაკუთრებით აქტიურობდნენ მამა-შვილი თეიმურაზ II და ერეკლე II.

1753 წელს თეიმურაზ II-მ პეტერბურგში ელჩობა მიავლინა, რუსეთისგან მუდმივი ჯარის განახლებაში დახმარება და ოსმალეთისგან წაქეზებული ლეკების აგრესიის აღკვეთა ითხოვა. რუსეთის სამეფო კარზე ქართველებს დაპირებები მისცეს, ხოლო კონსტანტინოპოლში რუსეთის ელჩს – ალექსეი ობრესკოვს დაავალეს, ოსმალეთი დაერწმუნებინა, რომ რუსეთი საქართველოს არავითარ დახმარებას არ აღმოუჩენდა. დახმარების ხელახალი თხოვნის მიზნით, თეიმურაზ II 1760 წელს თავად ჩავიდა მოსკოვში, მაგრამ მისი ელჩობაც უშედეგოდ დასრულდა. გაწბილებული მეფე რუსეთში გარდაიცვალა, მისმა ამალამ ასტრახანში გადაასვენა თეიმურაზ II-ის ნეშტი და ვახტანგ VI-ის გვერდით, ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში დაკრძალა. რუსეთის „მფარველობისა“ და დახმარების ეს გამოცდილება ჰქონდა ვახტანგის შვილიშვილსა და თეიმურაზ II-ის ვაჟს, ქართლ-კახეთის მეფეს – ერეკლე II-ს. სამწუხაროდ, რუსეთთან ურთიერთობის ეს უარყოფითი გამოცდილება მისი დროის რუსულ-ქართულ ურთიერთობებში გათვალისწინებული არ ყოფილა.

წყარო .....

ივანე ჯავახიშვილი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ XVIII საუკუნეში, წიგნიდან: „დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში“:

„რა მიზეზი იყო, რომ დიდი რუსეთის მთავრობა ასე ექცეოდა პატარა საქართველოს, ან როგორ ახერხებდა რუსეთი საქართველოს ისე მოჯადოებას, რომ იგი რამდენიმე მწარე გამოცდილების შემდეგაც მაინც „ქრისტეს-მოყვარე“ რუსეთის მფარველობის გულწრფელი მოიმედე იყო!.. ქართველებს შორიდან გაგონილი ჰქონდათ რუსთა მხურვალე სარწმუნოებრივი გრძნობა და ეჭვი არ ებადებოდათ, რომ რუსეთი ქართველთა სულისკვეთებას ადვილად გაიგებდა და მათს თავგანწირულ ბრძოლაში სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ წრფელის გულით ძლიერს დახმარებას გაუწევდა. რუსეთის მთავრობას და პოლიტიკოსებს არ გამოჰპარვიათ ქართველთა ამგვარი პოლიტიკური გულუბრყვილობა. მთელი მათი პოლიტიკა საქართველოს მიმართ, სწორედ ქართველთა ამ სუსტ გრძნობას და გულუბრყვილობაზე იყო ხოლმე დამყარებული...“

იმერეთის სამეფოსა და ქართული სამთავროების სწრაფვა რუსეთის მფარველობის მისაღებად

ქართლ-კახეთის სამეფო გერბი

რუსეთის მფარველობის მოსაპოვებლად ოსმალური აგრესიისაგან შეწუხებული იმერეთის სამეფოც მიისწრაფოდა. 1649 წელს იმერეთის მეფემ ალექსანდრე III-მ და მასთან თავშეფარებულმა კახეთის მეფე თეიმურაზ I-მა ელჩები გაგზავნეს რუსეთში. ალექსანდრე რუსეთის მეფეს აღუწერდა იმერეთს, მორჩილებას აღუთქვამდა და მფარველობას ითხოვდა: თქვენი ბრწყინვალების მეფობის ქვეშ ყოფნა გვირჩევნია უწმინდურების (ოსმალების) ხელში ყოფნას, ელჩები გამოგზავნე ჩვენი ადგილების დასათვალიერებლადო. ასეთ გულუხვ შეთავაზებაზე რუსეთის მეფე უარს არ ამბობდა, თუმცა, არავითარ დახმარებაზე არ ფიქრობდა.

რუსეთის სამეფო კარმა საპასუხო ელჩობა მაინც გამოგზავნა. ელჩებს – ალექსი იევლიევსა და ნიკიფორე ტოლოჩანოვს სპეციალური დავალება მისცეს: აღეწერათ და შეესწავლათ იმერეთი. მათ საზეიმოდ დახვდნენ ქუთაისში. უკან გაბრუნებულებს კვლავ გააყოლეს იმერელი დესპანები. ამ მოლაპარაკებებს იმერეთის სამეფოსთვის რეალური შედეგი არ მოუტანია.

1682 წელს იმერეთის მეფე არჩილ II, რომელიც მანამდე კახეთში მეფობდა, მოსკოვს ჩავიდა. მეფესა და პოეტს – არჩილს – თან მრავალი წარჩინებული პირი ახლდა, რომლებიც მისი საქართველოში დაბრუნების შემდეგაც რუსეთში დარჩნენ. შემდეგში მათმა შთამომავლობამ დიდი როლი ითამაშა რუსეთის ისტორიაში, თუმცა, იმთავითვე იჩინა თავი ქართული გვარ-სახელების რუსიფიცირებამ და, ხშირად, ისინი იმ ზომამდე დამახინჯდა, რომ ამოცნობაც კი ჭირდა (მაგ. ზანდუკელი „სანდუნოვად“ იქცა).

იმერეთის მეფემ ალექსანდრე V-მ ვახტანგ VI-ის ელჩს რუსეთის მთავრობასთან თავისი სახელითაც დაავალა მოლაპარაკება. 1724 წელს იმერთა მეფემ რუსეთის მთავრობას წერილით მიმართა კაპიტან-პორუჩიკ გიორგი დადიანის მეშვეობით. მეფე რუსეთს იმერეთის გაჭირვებულ მდგომარეობას ატყობინებდა, მისგან ფულად დახმარებას და პეტრეს ჩამოსვლას ითხოვდა. ამავე წელს დადებულმა რუსეთ-ოსმალეთის ზავმა და რუსეთის მიერ ოსმალეთისთვის აღმოსავლეთ საქართველოს გადაცემამ ქართველ მეფეებს რუსეთისკენ სწრაფვაზე ხელი ვერ ააღებინა. დასავლეთ ევროპა შორს იყო და მისი დახმარებაც არარეალური ჩანდა, რუსეთის პოლიტიკური ინტერესები ამიერკავკასიაში კი ნათლად გამოიკვეთა. ქართველ მეფეთა აზრით, ეს ინტერესები ქართველი ხალხის პოლიტიკურ მისწრაფებებს არ ეწინააღმდეგებოდა.

წყარო .....

დე გრაი დე ფუა – გენერალ ტოტლებენის ადიუტანტი:

„ჩვენი კაზაკები, მათი ჩვეულებისამებრ, სადაც შეეძლოთ, ყველგან ძარცვავდნენ, განსაკუთრებით იტაცებდნენ საქონელსა და ცხენებს. ბევრი საჩივარი შემოდიოდა გრაფთან, მაგრამ მან სამართალი არ გააჩინა. კაზაკები უფრო გათავხედდნენ. სხვა კარისკაცებიც თითქმის იგივეს ჩადიოდნენ. ისე ვცხოვრობდით საქართველოში, როგორც დაპყრობილ ქვეყანაში“.

ეკატერინე II
(1762-1796)

გოტლიბ კურტ ჰაინრიხ
ტოტლებენი
(1715-1773)

1738 წელს მოსკოვში ჩავიდა იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ის ელჩი მიტროპოლიტი ტიმოთე გაბაშვილი. ის ცდილობდა არა მარტო სამხედრო-სტრატეგიული, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისითაც დაეინტერესებინა რუსეთი, რამდენიმე მადნის ნიმუშიც ჰქონდა ჩატანილი, მაგრამ ეს ცდაც უშედეგო აღმოჩნდა. რუსეთი ოსმალეთთან ომს, იმერეთის გამო, არ აპირებდა.

რუსეთთან ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდა სოლომონ I-ის მეფობისას. 1768 წელს მან რუსეთში გაგზავნა საგანგებო უფლებით აღჭურვილი ელჩი მაქსიმე ქუთათელი. რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე II-მ და მისმა მრჩევლებმა ოსმალეთთან მიმდინარე ომში (1768-1774) საქართველოს ჩართვა თავის სასარგებლოდ მიიჩნიეს და ჯარიც გამოგზავნეს გენერალ ტოტლებენის მეთაურობით. ქართლ-კახეთისა და იმერეთის მეფეები – ერეკლე II და სოლომონ I დიდი იმედით შეხვდნენ რუსული ჯარის შემოსვლას, მათ თავიანთი სახელმწიფოებრივი ინტერესები ჰქონდათ, რუსეთს კი შავი ზღვის სანაპიროს დაპყრობა და იქ თავისუფალი ნაოსნობის უფლების მოპოვება სურდა. „ურწმუნოებისაგან ქრისტიანების დაცვის“ იდეა იმპერიული ფარსი იყო, რითაც რუსეთი თავის დაპყრობით ომებს ამართლებდა.

XVII საუკუნიდან რუსეთთან ურთიერთობა ჰქონდათ და მისგან მფარველობას ითხოვდნენ ქართული სამთავროებიც. მათ თხოვნაში ხშირად ჩანდა შინაუთანხმოება, სამეფო-სამთავროებს შორის მტრობა და ქიშპი. ფეოდალური სეპარატიზმით განმსჭვალული მთავრები ზოგჯერ რუსეთს არა მარტო მაჰმადიანური აგრესიის თავიდან ასაცილებლად, არამედ ერთმანეთთან ანგარიშის გასასწორებლადაც მიმართავდნენ. ასეთი ვითარება ჩვეულებრივია ფეოდალური ხანის ქვეყნებისთვის, მაგრამ საქართველოსთვის განსაკუთრებით მძიმე იყო, რადგან მეზობელი იმპერიები ქართველებს შორის უთანხმოებას კიდევ უფრო აღვივებდნენ, ასუსტებდნენ ქვეყანას და შინაუთანხმოებას მის დასაპყრობად იყენებდნენ.

ამრიგად, XVI–XVIII საუკუნეებში, დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა ქართულმა სამეფოებმა დასახული მიზნის მისაღწევად საგარეო ძალების გამოყენება სცადეს. მათ დახმარებისათვის რამდენჯერმე მიმართეს დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, რომლებმაც საქართველოსადმი არავითარი ინტერესი არ გამოიჩინეს. სპარსეთ-

წყარო

იესე ბარათაშვილი ქართლ-კახეთის სამეფოს 1770-1780 წლების მდგომარეობაზე:

„განცვიფრდა ყოველი სული და ადიდებდნენ მეფის ასეთ ბედნიერებას: – ხონთქარი, ესრეთ ყეენი, ესრეთ რუსეთის იმპერატორი, შვილნი მორჩილნი ესრეთ, ყმა დამონებული ესრეთ, მეზობელნი მორჩილნი ესრეთ და სხვა მრავალი ბედნიერება აურაცხელი“...

წყარო

ივანე ჯავახიშვილი გენერალ ტოტლებენის საიდუმლო მისიის შესახებ:

„...რუსეთი საქართველოს ისე უყურებდა, როგორც კარგ იარაღს, რომელიც საჭიროებისამებრ შეიძლებოდა მშვენივრად გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ. ეს აზრი თვით რუსეთის მთავრობას აქვს ცინიკური გულახდილობით გამოთქმული გრაფი ნ. პანინის პირით ერთ საიდუმლო მიწერილობაში, რომელიც მან სახელმძღვანელოდ საქართველოში მყოფს რუსეთის წარმომადგენელს გენერალ ტოტლებენს გამოუგზავნა: უნდა ვეცადოთ, საქმე საქართველოში ისე მოვაწყოთ, რომ ყველაფერი ჩვენი ხელმძღვანელობით ხდებოდეს, თვით ქართველებს კი ისე ეგონოთ, ვითომც ისინი თავიანთი მთავრობის განკარგულებას ასრულებენ, თვით მთავრობაც დარწმუნებული იყოს, თითქოს ყველაფერი მისი სურვილისა და ნების თანახმად ხდებოდეს. ერთი სიტყვით, ყოველი ჩვენი წადილი განხორციელდეს ისე, რომ სული აქაური (ე. ი. რუსული) იყოს, სხეული კი – ქართული.

წყარო .....

1783 წლის ტრაქტატში მოხსენიებული მეფე ერეკლეს ტიტული:

„მემკვიდრე ხელმწიფე და მფლობელი ირაკლი II წყალობითა ღვთისათა და თქუენის იმპერატორობის დიდებულების კეთილნებობითა, მეფე ქართლისა, კახეთისა, მემკვიდრე-მფლობელი სამცხე-საათაბაგოსი, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსი, მთავარი შამშადილისა, მთავარი კაკისა, მთავარი შაქისა და შირვანისა, მფლობელი და მბრძანებელი განჯისა და ერევანისა“...

..... წყარო

ლევან ალექსიძე, საერთაშორისო სამართლისმცოდნე, წიგნიდან – „საქართველო-რუსეთის სამართლებრივი ურთიერთობა XV-XVIII საუკუნეებში“, 1983:

„1783 წლის ხელშეკრულებით ქართლ-კახეთის სამეფო დაექვემდებარა რუსეთის იმპერიას საშინაო ავტონომიის შენარჩუნებით და საგარეო პოლიტიკური ქმედუნარიანობის ნაწილობრივი შეზღუდვის პირობით. სამაგიეროდ, რუსეთის იმპერიას უნდა დაეცვა ქართლ-კახეთი ყველა მტრისაგან და ხელი შეეწყო მეფე ერეკლეს წინაშე მდგარი უმნიშვნელოვანესი შიდა და საგარეო პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაში. ეს იყო „მფარველობა-დაქვემდებარების ხელშეკრულება“.

ოსმალეთის გავლენაში მოქცეული საქართველოს მხარდაჭერა ამ სახელმწიფოებთან საომარ დაპირისპირებას ნიშნავდა, რასაც დასავლური სამყარო ერიდებოდა. იმავდროულად, სულ უფრო აქტიურდებოდა რუსეთის კავკასიური პოლიტიკა. ცხადი გახდა, რომ ოსმალეთისა და სპარსეთის ბატონობას შავსა და კასპიის ზღვებზე რუსეთი დიდხანს არ შეურიგდებოდა, მას შემდეგ, რაც იმპერია ჩრდილოეთით და დასავლეთით გაფართოვდა, მისი საზღვრები სამხრეთითაც გადმოიწევდა. ასეთ ვითარებაში ქართველი პოლიტიკოსებისათვის რუსეთი სასურველ მოკავშირედ, დასავლურ სამყაროსთან დამაკავშირებელ გზად ჩანდა. ისინი შეეცადნენ რუსეთის გეგმები თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ, მასთან ერთად ებრძოლათ და სპარსეთ-ოსმალეთის ბატონობისაგან თავი მისი დახმარებით გაეთავისუფლებინათ. რუსი მეფეები ქართველებს დახმარებას ჰპირდებოდნენ, მაგრამ პირობას არასოდეს ასრულებდნენ. ბუნებრივია, უთანასწორო ბრძოლებში დასუსტებული საქართველოს დაპყრობა რუსეთს უფრო გაუადვილდებოდა.

რუსი გენერლის ღალატი თუ წინასწარ შემუშავებული იმპერიული პოლიტიკა ქართლ-კახეთის სამეფოს წინააღმდეგ?

1768 წელს რუსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს შორის დაიწყო ომი. ყირიმისა და ევროპის ფრონტზე ოსმალების ზეწოლა რომ შეემცირებინა, რუსეთმა გადაწყვიტა ფრონტი კავკასიაშიც გაეხსნა. რუსეთმა ერეკლე II-სა და იმერეთის მეფე სოლომონ I-ს ოსმალებთან ომისკენ მოუწოდა.

ერეკლე II-ის მიზანს წარმოადგენდა ოსმალეთის დაპყრობილი სამხრეთ საქართველოს ისტორიული მხარეების დაბრუნება, კახეთის სოფლებზე ლეკების თარეშის აღკვეთა და ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებით ურჩი ფეოდალების ალაგმვა. იმერეთის მეფე სოლომონ I-იც რუსეთის დახმარებით გეგმავდა ოსმალური აგრესიის თავიდან აცილებას და „ტყვეთა სყიდვის“ აღკვეთას.

1769 წლის 21 მაისს თბილისში იმერეთის მეფე სოლომონ I ჩავიდა. ქართველი მეფეები ერთობლივ მოქმედებაზე შეთანხმდნენ. მათ ეგონათ, რომ რუსეთი კავკასიაში საკმაოდ დიდ ძალებს გამოგზავნიდა. ერეკლე მეფე სულ ცოტა – 5-7 პოლკს მოითხოვდა, მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ 400-მდე რუსი ჯარისკაცი ჩამოვიდა. მოგვიანებით ამას დაემატა ასკაციანი ავანგარდი ტოტლებენის მეთაურობით. ეს ძალა დასახული მიზნის განხორციელებას მინიმალურადაც ვერ უზრუნველყოფდა. აქედან ჩანდა, რომ რუსეთის ხელისუფლების გეგმით, ომი კავკასიაში მთლიანად ქართულ ჯარს უნდა ეტვირთა.

1769 წლის 29 აგვისტოს სოფელ ხოდასთან ერეკლე II გოტლიბ ფონ ტოტლებენს შეხვდა. მან რუს გენერალს იმპერატორისაგან ხუთიათასიანი დამხმარე ჯარის, ასევე საარტილერიო საქმისა და სამთო სპეციალისტების გამოგზავნა მოსთხოვა. 3 ოქტომბერს ტოტლებენმა იმერეთის ჯართან ერთად შორაპნის ციხეზე მიიტანა იერიში. რუსმა გენერალმა ოთხი დღის შემდეგ მიატოვა ციხე და ქართლში გადავიდა. 1769 წლის 22 ოქტომბერს ეკატერინე II-მ ბრძანება გასცა, რომ საქართველოში 3700 რუსი მეომარი გაეგზავნათ.

დაინახა რა რუსეთის მიერ გადადგმული რეალური ნაბიჯები, ერეკლე II ჩაება ოსმალეთთან ომში. 1770 წლის 17 აპრილს მეფე ერეკლეს მეთაურობით ქართველთა შვიდიათასიანი და გენერალ ტოტლებენის რუსთა 1200-კაციანი ჯარი აწყურს მიადგა. გეგმის მიხედვით, მოკავშირეებს, აწყურის აღების შემდეგ

ახალციხისთვის უნდა შეეტიათ. 19 აპრილს გენერალმა ტოტლებენმა მოულოდნელად მიატოვა ქართველი მოკავშირეები და ჯარიანად გაეცალა ბრძოლის ველს. 20 აპრილს ერეკლე II-მ ასპინძასთან მარტო შეუტია ოსმალთა 8-ათასკაციან კორპუსს და, თავისი ბრწყინვალე სამხედრო ტაქტიკის წყალობით, მთლიანად გაანადგურა. სამწუხაროდ, ამ გამარჯვებით ქართველებმა ვერ ისარგებლეს, მათ კარგად აღჭურვილი ოსმალების მიერ გამაგრებული ახალციხის აღება ვერ გარისკეს, რადგან არ იცოდნენ რუსი გენერლის გეგმები. ერეკლე ტოტლებენს დაედევნა, რომელიც ქართლის მოსახლეობას მის წინააღმდეგ ამხედრებდა და რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე აფიცებდა.

შემდეგში ტოტლებენი რუსეთიდან ჩამოსული 4 ათასამდე ჯარისკაცით დასავლეთ საქართველოში გადავიდა და იქაც ქართული ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა. მართალია, ეკატერინე II-მ ის საქართველოდან გაიწვია, მაგრამ არ დაუსჯია. პირიქით, მოგვიანებით დაა-ჯილდოვა კიდეც. ცხადი იყო, რომ გენერალი ხელისუფლების ინსტრუქციით მოქმედებდა. იმპერატორის გარეშე იმ ზომის თვითნებობას, რაც საქართველოში ჩაიდინა, ტოტლებენი ვერ გაბედავდა. იმპერატორმა უკმაყოფილება მეფე ერეკლესადმიც გამოთქვა, რადგან მან რუსეთის საექსპედიციო კორპუსის ოფიცრებს სარდლის შეცვლა მოსთხოვა.

ტოტლებენის ნაცვლად საქართველოში გენერალი ნიკოლოზ სუხოტინი გამოგზავნეს. სუხოტინს დაევალა ქართველ მეფეთა ძალებით დივერსიების მოწყობა ოსმალებისათვის და აეკრძალა რეგულარული სამხედრო ოპერაციები, მიზეზად დასახელდა ის, რომ „ოსმალეთისგან მიტაცებული ქართული მიწების შემოერთება ამ დროს რუსეთს საჭიროდ არ მიაჩნდა“.

სუხოტინი 1771 წლის მაისში ჩამოვიდა საქართველოში. ჯერ ერეკლე II-ს შეხვდა, შემდეგ კი ქუთაისში გაემგზავრა, სადაც რუსთა კორპუსი იდგა. სუხოტინმა არ დაუჯერა ერეკლე მეფეს, რომელსაც ზაფხულის პირობებში ფოთის ჭაობებში ბრძოლა არახელსაყრელად მიაჩნდა და ფოთზე ლაშქრობა დაიწყო. რუსეთის ჯარი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ციებ-ცხელებით დაავადდა 2 ათასამდე ჯარისკაცი და თავად სარდალიც. ამასთანავე, სუხოტინი, ტოტლებენის მსგავსად, განაგრძობდა ინტრიგებს ქართველ მეფეთა წინააღმდეგ. სუხოტინმა ფოთს ალყა მოხსნა და 1772 წლის ივნისში საქართველოც დატოვა.

რუსეთ-ოსმალეთის ომმა ერეკლე II, მისი ჩანაფიქრის განხორციელების ნაცვლად, უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო. გენერალ ტოტლებენის საქციელმა და ხელისუფლებისგან მისმა დაუსჯელობამ, ასევე სუხოტინის მოქმედებამ ცხადყო რუსეთის ნამდვილი მიზნები საქართველოს მიმართ. ოსმალეთთან საომარ მდგომარეობაში აღმოჩენილმა ერეკლე II-მ ომის დამთავრებამდე ეკატერინე II-სა და რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიის უფროსს გრაფ ნიკიტა პანინს რამდენიმე ნოტა გაუგზავნა, – არ გაეყვანა ჯარი საქართველოდან. მიუხედავად ამისა, რუსეთის სამეფო კარი და კოლეგია გულგრილად მოეკიდა ერეკლეს თხოვნებს. 1772 წელს, იმპერატორის ბრძანებით, ჯარი საქართველოდან გავიდა. ქართლ-კახეთიცა და დასავლეთ საქართველოც საკუთარი ძალების მოიმედედ დარჩა. ამით რუსეთმა საქართველო ოსმალთა აშკარა შურისძიებისა და თარეშისთვის გასწირა. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ რუსეთს სრულებით არ აღელვებდა კავკასიის ხალხებისა და ქვეყნების ბედი.

წყარო .....

რუსი სამხედრო ისტორიკოსი დუბროვინი, ნაწყვეტი 1797 წლის 5 იანვარს პავლე I-ის მიერ გენერალ გუდოვიჩისათვის გაგზავნილი რესკრიპტიდან:

„...მეფე ერეკლეს მიერ დადებული ხელშეკრულების გათვალისწინებით, უნდა დამყარდეს კავშირი რუსეთის მომხრე მხარეების მფლობელებთან და ეს ურთიერთობა დაცული იქნას კეთილთანხმობითა და ერთსულოვნებით, რათა, საჭიროების შემთხვევაში, ყველა ისინი გაერთიანებული ძალებით აღუდგნენ წინ ჩვენზე თავდამსხმელ მტერს, ჩვენ კი, რაც შეიძლება ნაკლებად მივიღოთ მათთან ერთად მონაწილეობა შეიარაღებულ ბრძოლაში. ერთი სიტყვით, საქმე იმ დონემდე უნდა მივიდეს, რომ რუსეთისადმი კეთილგანწყობილი მეფეებისაგან შედგეს ფედერაციული სახელმწიფო, რომელიც ჩვენზე იქნება დამოკიდებული, როგორც თავის უზენაეს ხელმწიფესა და მფარველზე. ეს მათთვის ნაკლებად სამძიმო იქნება, რამდენადაც ჩვენ არ ჩავერევით არც მათ მმართველობის წესში, არც ქვეშევრდომებთან მათ დამოკიდებულებაში და ჩვენდამი ერთგულების გარდა, მათგან არაფერს მოვითხოვთ“.

1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი, – „მეგობრობისა და მფარველობის“ ხელშეკრულება

გეორგიევსკის ტრაქტატი

რუსეთ-ოსმალეთის ომისა და 1772 წელს რუსული ჯარის უკან გაწვევის შემდეგ, ერეკლე II-მ სცადა საკუთარი დიპლომატიური სვლებით მოეგვარებინა ურთიერთობები საშიშ მეზობლებთან. 1776 წელს ქართლ-კახეთის სამეფომ ხელშეკრულება დადო ოსმალეთთან, მშვიდობიანი ურთიერთობა დაამყარა კავკასიის მუსლიმან მთიელებთან. ამ დროისთვის ქართლ-კახეთის სახელმწიფო კვლავინდებურად უძლიერესი იყო სამხრეთ კავკასიაში. თუმცა, ეს მდგომარეობა დროებითი იყო და მუსლიმი მეზობლებისგან მუდმივ მშვიდობას საქართველოში არავინ ელოდა.

XVIII საუკუნის 70-80-იანი წლების მიჯნაზე კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში ერთმანეთს სამი სახელმწიფოს: სპარსეთის, ოსმალეთის და რუსეთის იმპერიის ინტერესები დაუპირისპირდა. ქართლ-კახეთის სამეფოს დიდი არჩევანი არ ჰქონდა: ევროპულ ცივილიზაციასთან ახლოს მდგომ ქრისტიანულ რუსეთს თითქოს ალტერნატივა არც გააჩნდა. ერეკლე მეფე 1781 წელს შეეცადა დახმარება ეძებნა ევროპაშიც. მან იტალიელი მისიონერების ხელით წერილები გაუგზავნა ავსტრიის იმპერატორს – იოზეფ II-ს, ვენეციის რესპუბლიკის სენატსა და დოჟს, საფრანგეთის, პრუსიის, სარდინიის, ნეაპოლის მეფეებსა და რომის პაპს. ქართლ-კახეთის მეფე ჯარის რეორგანიზაციისთვის ფულად დახმარებას ითხოვდა და სანაცვლოდ, ოსმალეთთან კონფლიქტის შემთხვევაში, ამ ქვეყნებს მოკავშირეობას ჰპირდებოდა. 1782 წელს, პარალელურად, მან დახმარება ეკატერინე II-საც სთხოვა. ერეკლეს წერილებმა ევროპაში დაგვიანებით ჩააღწია, იმ დროს ევროპას კავკასიაში სტრატეგიული ინტერესები ნაკლებად ჰქონდა, ამიტომ არ დაინტერესებულა ერეკლეს ნოტებით, მაგრამ რუსეთისათვის ეს მაინც მნიშვნელოვანი გაფრთხილება იყო.

80-იანი წლების დასაწყისში რუსეთში პოლიტიკური ვითარება შეიცვალა. საგარეო ურთიერთობებში ძველი კურსი ახალმა ჩაანაცვლა. ახალი თაობის პოლიტიკოსებმა გააქტიურეს „აღმოსავლეთის საკითხი“ და ამ ფონზე კავკასიის როლიც წინ წამოსწიეს. ახალი პოლიტიკის სულისჩამდგმელი იყო ეკატერინე II-ის კარზე დაწინაურებული გრიგოლ პოტიომკინი, რომელმაც მნიშვნელოვან თანამდებობებზე თავისი თანამოაზრენი დანიშნა. მაგ.: ალექსანდრე ბეზბოროდკო – საგარეო საქმეთა კოლეგიის წევრად, საკუთარი ბიძაშვილი პავლე პოტიომკინი – კავკასიის დაცვის ხაზის მეთაურად. რუსეთმა თვისებრივად შეცვალა პოლიტიკა კავკასიაში, ოსმალეთთან დაპირისპირების შემთხვევაში და აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობის განვითარებისთვის საქართველოს სასიცოცხლო მნიშვნელობა მიენიჭა. ახალი პოლიტიკური და დიპლომატიური ხედვა საქართველოსა და კავკასიაში სპარსეთ-ოსმალეთის გავლენის აღკვეთას და აქ რუსეთის გაბატონებას ითვალისწინებდა. ახალი კავკასიური პოლიტიკის წყალობით და იმის შიშით, რომ ევროპელი მონარქები არ ჩარეულიყვნენ კავკასიის საქმეებში, ეკატერინე II-მ ალექსანდრე ბეზბოროდკოსა და გრიგოლ პოტიომკინს ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებთან ხელშეკრულების გაფორმება უბრძანა. გრიგოლ პოტიომკინმა იმერეთთან ამგვარი კავშირი ნაადრევად მიიჩნია და პავლე პოტიომკინს მიანიჭა უფლებამოსილება ქართლ-კახეთთან გაეფორმებინა მფარველობითი ტრაქტატი.

განმარტება

ტრაქტატი – საერთაშორისო ხელშეკრულება, შეთანხმება, სადაც შეტანილია გარკვეული პირობები, რომლის დაცვა სავალდებულოა ტრაქტატის დამდები მხარეებისთვის.

გრიგოლ პოტიომკინი
(1739-1791)

პავლე პოტიომკინი
(1743-1796)

წყარო .....

იაკობ რაინეგსი, – ნამდვილი სახელი და გვარი – ქრისტიან რუდოლფ ელიხი. გერმანელი ექიმი, მოგზაური, ავანტიურისტი (1744-1793). რუსეთის რეზიდენტი ერეკლე II-ის კარზე. 1774-1783 წლებში ცხოვრობდა თბილისში. იცოდა რამდენიმე აღმოსავლური ენა, მათ შორის ქართულიც. ერეკლე II-ის კარზე მუშაობდა ექიმად, გერმანულ ენას ასწავლიდა პატრების სკოლაში. მან თბილისში გახსნა სამედიცინო სასწავლებელი და ე. წ. საბატონიშვილო სკოლა.ქართველ სამხედრო პირებს ასწავლიდა საარტილერიო საქმეს და დავით ბატონიშვილის ერთ-ერთი მასწავლებელიც იყო. დიდ დროს უთმობდა სამთამადნო საქმეს, ხელმძღვანელობდა სტამბას (ვენიდან გამოიწერა სასტამბო მანქანა) და სხვ. აქვს ნაშრომი „კავკასიის ისტორიულ-ტოპოგრაფიული აღწერა“ (რომელიც 2 წიგნად გამოსცა პეტერბურგის აკადემიამ).

პეტერბურგი აღმოსავლეთ საქართველოს სთავაზობდა თავად ეთხოვა რუსეთის მფარველობაში შესვლა. ამ საკითხის მოსაგვარებლად პავლე პოტიომკინმა 1782 წლის შემოდგომაზე თავისთან გამოიძახა ერეკლეს კარზე მყოფი ექიმი და უფლისწულთა აღმზრდელი, წარმოშობით უნგრელი, იაკობ რაინეგსი, უბოძა მას პოლკოვნიკის ჩინი და მისცა საიდუმლო დავალება – წაექეზებინა ერეკლე II რუსეთისთვის მფარველობა ეთხოვა. რუსეთის საიმპერატორო კარის დავალებით, ამავე საკითხზე, ერეკლე მეფის დასარწმუნებლად დიდი მუშაობა გასწია სომეხმა არქიეპისკოპოსმა იოსებ არღუთინსკიმაც. სინამდვილეში, რუსეთი არათუ ეხმარებოდა ქართლ-კახეთის სამეფოს, არამედ მხარს უჭერდა და აქეზებდა ერეკლე მეფის წინააღმდეგ განწყობილ ძალებს. ერეკლეს ყველაზე დიდი მოწინააღმდეგე და ქართლის ტახტის მაძიებელი იყო ვახტანგ VI-ის შვილიშვილი – ალექსანდრე ბაქარის ძე, რომელსაც ერეკლეს რუსული პოლიტიკით უკმაყოფილო ფათალი ხანიც შეუერთდა. რუსეთმა აკრძალა ქართველი მეფეების მიერ ჩრდილოეთ კავკასიაში ჯარის დაქირავება, რითაც არსებითი დარტყმა მიაყენა ქართლ-კახეთის სამეფოს სამხედრო ძლიერებას. 1781 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა ერეკლე მეორის ვაჟი ლევან ბატონიშვილი, რომელიც სათავეში ედგა ქართული ჯარის რეორგანიზაციას. ეს დიდი დარტყმა იყო არა მარტო სამეფო ოჯახის, არამედ მთელი სამეფოსთვის. არსებულმა ვითარებამ მეფე ერეკლე, რომელიც რუსეთის მიმართ უკვე იმედგაცრუებული იყო, აიძულა სავალალო ნაბიჯი გადაედგა: 1782 წლის 21 დეკემბერს მან შეიმუშავა დოკუმენტი, რომელიც მიმართული იყო რუსეთის იმპერატორისადმი და აღმოსავლეთ საქართველოს მფარველობაში მიღებას ითვალისწინებდა. ამ დოკუმენტის მიხედვით, რუსეთის საიმპერატორო კარმა, გარკვეული ცვლილებებით, ახალი ხელშეკრულების ტექსტი შეადგინა.

განმარტება

ფათალი ხანი – დაღესტნელი ხანი (1759-1789), რომელმაც დარუბანდის (დერბენტის) ხანი დაამხო 1759 წელს და მთელი აზერბაიჯანი დაიმორჩილა.

1783 წლის 24 ივლისს ჩრდილო კავკასიის ციხე-სიმაგრე გეორგიევსკში (ციხე-სიმაგრე გრიგოლ პოტიომკინის მიერ კავკასიის სასაზღვრო ზოლის გასამაგრებლად აიგო 1770 წელს) გაფორმდა საერთაშორისო ხელშეკრულება – ტრაქტატი. რუსეთის მხრიდან ტრაქტატს ხელი მოაწერა პავლე პოტიომკინმა, ქართლ-კახეთის სამეფოს მხრიდან კი – იოანე მუხრანბატონმა და გარსევან ჭავჭავაძემ.

გარსევან ჭავჭავაძე (1757-1811)

წყარო .....

მეფე ერეკლე II-ის წერილიდან რუსეთში მყოფ გარსევან ჭავჭავაძისადმი:

„ნურც ათქმევინებ ვისმე ამასა, რომ დიდის ეკატერინეს ჟამსა და ხელმწიფობაში რუსეთის შეერთების მიზეზით, მოუშველებლობით დაიქცა საქართველო. რა ვქნა, მე ბევრის იმედი მქონდა თქვენისგან და კიდეც მაქვს. მა ვისთან მივიდეთ და ვის გამოვუცხადოთ ჩვენი ტკივილი, – ოსმალეთთან მივიდე, მიმიშვებენ? ყიზილბაშებთან მივიდე, – შემიწყნარებენ? დაღესტნელებთან მივიდე, მიმიღებენ? მაშ, ვისი სასოება მქონდეს, თუ არა რუსეთის დიდებულის ხელმწიფისა... ვის უნდა მივმართო და ვის უნდა ვაწყინო თავი?“

საქართველო-რუსეთს შორის გაფორმებული ტრაქტატის ძირითადი სტრუქტურა

ტრაქტატი 13 ძირითადი და 4 საიდუმლო მუხლისაგან შედგებოდა. მას ერთოდა ფიცის ტექსტი და დამატებითი მუხლი ქართლ-კახეთის მეფის კურთხევის წესის შესახებ.

გეორგიევსკის ტრაქტატით, ქართლ-კახეთის მეფე ცნობდა რუსეთის იმპერატორის უზენაესობას. სამეფოს სათავეში რჩებოდა მეფე ერეკლე II და მისი შთამომავლობა. ქართლ-კახეთის მეფეს ამტკიცებდა რუსეთის იმპერატორი, რომელიც უგზავნიდა მას სამეფო ნიშნებს. ამიერიდან ქართლ-კახეთის სამეფო საგარეო პოლიტიკას რუსეთისაგან დამოუკიდებლად ვეღარ აწარმოებდა. მეფეს უფლება არ ჰქონდა, იმპერატორის ნებართვის გარეშე, ურთიერთობა დაემყარებინა სხვა სახელმწიფოებთან. ქართლ-კახეთის მეფე ვალდებული იყო, საჭიროების შემთხვევაში, დახმარებოდა რუსეთს.

რაც შეეხება საშინაო საქმეებს, ქართლ-კახეთი დამოუკიდებელი რჩებოდა, რუსეთი ქართლ-კახეთის საშინაო საქმეებში არ ჩაერეოდა. თავის მხრივ, რუსეთის იმპერია საქართველოს საუკუნო მფარველობას კისრულობდა, რისთვისაც ქართული ჯარის განსამტკიცებლად და საქართველოს დასაცავად აქ მუდმივად ეყოლებოდა ორი ბატალიონი ქვეითი ჯარი ოთხი ზარბაზნით. ომის შემთხვევაში, რუსეთი საჭირო სამხედრო დახმარებას გაზრდიდა. იმპერატორი პირობას დებდა, რომ ყოველ ღონეს იხმარდა, რათა საქართველოს დაჰბრუნებოდა მტრებისგან მიტაცებული ყველა ისტორიული კუთხე და მხარე.

გეორგიევსკის ტრაქტატში იმთავითვე იყო ჩადებული ქართული სახელმწიფოს დაპყრობის გეგმა. ეს ჩანდა შემდეგი პუნქტებიდან: ტახტზე ასულ ქართველ მეფეს ქვეყანა მხოლოდ იმპერატორისა და მისი კარის კარნახით უნდა ემართა; თანამდებობებზე დანიშვნისას გაეთვალისწინებინა პრეტენდენტის რუსული ორიენტაცია; ფაქტობრივად, საფრთხე ექმნებოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას. რუსეთის შემოთავაზებულ პროექტში ქართველი მღვდელმთავარი რუსეთის სამღვდელოების იერარქიაში მეხუთე ადგილს იკავებდა, თუმცა, დამტკიცებულ ვარიანტში მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დაემცრო და მან მერვე ადგილზე გადაინაცვლა. ქართული ეკლესიის ამგვარი დამცრობა ქართველი ერის კატასტროფის ტოლფასი იყო, რადგან, საუკუნეების მანძილზე სწორედ ქართული ეკლესია იყო ერის სულიერად და ფიზიკურად შემდუღებელი და გადამრჩენი. ქართველი მეფეები ეკლესიის საშინაო საქმეებში განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, არ ერეოდნენ, ეკლესია კი სახელმწიფოს სიძლიერის ბურჯი იყო. ამგვარ დამოუკიდებლობას მოკლებული რუსული მართლმადიდებელი ეკლესია, პეტრე I-დან მოყოლებული, სახელმწიფოს პოლიტიკურ დანამატს წარმოადგენდა. ქართული ეკლესიაც ამიერიდან რუსული ეკლესიის ნაწილი ხდებოდა და სინოდის მმართველობაში გადადიოდა. თუმცა,

ინფორმაცია

ანტონ I იყო იესე მეფისა და მეფე ერეკლე I-ის (ნაზარალიხანი) ასულისელენეს შვილი (თეიმურაზ II-ის და). დაიბადა 1720 წელს. მაშინ, როდესაც მამამისი უკვე გადაყენებულია მეფობიდან. ანტონი 4 წლამდე მუხრანში იზრდებოდა, შემდეგ თბილისში (1724-1727 წწ.-ში) და მამის გარდაცვალების შემდეგ – დავითგარეჯის უდაბნოში (1727-1729 წწ.-ში). გარეჯის უდაბნოში მისი აღმზრდელი იყო მონასტრის წინამძღვარი სპირიდონ არქიმანდრიტი. ასევე მის აღმზრდელებად მიჩენილნი იყვნენ თავადი ნოდარ ხერხეულიძე, თავადი იოსებ ფალავანდიშვილი და გაქრისტიანებული ისპაანელი მირზაალი. მათ შეასწავლეს არჩილს (ანტონს) საღმრთო და საერო სწავლებანი, თეიმურაზ II-სთან რთული ურთიერთობა ჰქონდა კათოლიკური აღმსარებლობის მიღების გამო, რაც ბოლოს მოინანია და ერკლე II-ის ქართლ-კახეთში გამეფების შემდეგ აღდგა საკათოლიკოსო ტახტზე. მეფისა და კათოლიკოსის ტანდემი ბევრ საქვეყნო საქმეს არიგებდა, იღვწოდა ქართული განათლებისა და კულტურის ასაღორძინებლად. კათოლიკოსი ანტონ I 1788 წელს გარდაიცვალა.

ანტონ I
(1720-1788)

წყარო .....

ნიკო ბერძენიშვილი ერთიანი საქართველოს იდეისადმი რუსეთის დამოკიდებულების შესახებ, წიგნიდან „საქართველოს ისტორიის საკითხები“, ტ. IV:

„ამიერიდან არა თუ გაერთიანებული საქართველო, ამიერკავკასიაში ჰეგემონობის პრეტენზიით (ქართველი პოლიტიკოსები XVII საუკუნის მიწურულშიაც კი ამ იდეას პოლიტიკური ჰეგემონობისას არ ეხსნებოდნენ და მას სამოქმედო მიზნად აღიარებდნენ), გაუერთიანებელი მცირე სამეფოების არსებობაც კი აღარ ეთანხმებოდა ამიერკავკასიის დაპყრობის რუსულ გეგმას, რამდენადაც ამ მცირე ერთეულებსაც რუსეთის ინტერესებისაგან განსხვავებული საკუთარი ინტერესები ჰქონდათ და, რაც განსაკუთრებით უსიამოვნო იყო, საქართველოს გაერთიანება-გაძლიერების იდეას არ ეხსნებოდნენ.

ასე თანდათან, რუს პოლიტიკოსთა თვალში „საქართველომ“ თავისი დრო მოსჭამა. კავკასიის მთაგრეხილს გადმოღმა მეფის რუსეთის პოლიტიკოსები ჰხედავენ მხოლოდ ტერიტორია „ზაკავკაზიეს“, რომელიც დიდი გარჯით გააერთიანეს კიდეც, მაგრამ არა საქართველოდ, არამედ რუსულ გუბერნიებად“.

მდგომარეობა რომ არ გამწვავებულიყო და ერეკლეს უარი არ ეთქვა ტრაქტატზე, იქვე იყო განმარტება, რომ ქართლ-კახეთის საეკლესიო მართვისა და სინოდთან ურთიერთობის თაობაზე მომავალში ცალკე შეთანხმება უნდა დადებულიყო. ამგვარი შეთანხმება აღარ მომხდარა, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს რუსული დიპლომატიის თვითნებობასა და ქართლ-კახეთის სამეფოს ინტერესთა იგნორირებას.

ამრიგად, გეორგიევსკის ტრაქტატის შესაბამისად, საქართველოს სამეფო რუსეთის მფარველობაში შედიოდა. სუვერენიტეტს იგი ნაწილობრივ – საგარეო პოლიტიკაში კარგავდა. ტრაქტატი, ზოგადად, არ წარმოადგენდა ორი თანასწორუფლებიანი ქვეყნის ურთიერთობის ამსახველ დოკუმენტს. ქართლ-კახეთის სამეფოსთვის ეს უკან გადადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ ამდროინდელი საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ის სახელმწიფოებრივ სტატუსს მაინც ინარჩუნებდა. რუსი ისტორიკოსების მტკიცება, რომ ქართველმა მეფეებმა თავად გადასცეს რუსეთს ქვეყანა, არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს. არცერთ ქართველ მეფეს უარი არ უთქვამს თავის სამეფოზე და ტახტი რუსეთისთვის არ გადაუცია. შეზღუდული სუვერენიტეტი სახელმწიფოებრიობის გაუქმებას არ ნიშნავს და მძიმე პოლიტიკური მოვლენების ფონზე, მაშინდელი საერთაშორისო სამართლის ნორმებით, ამგვარი

ლეკიანობა კახეთში